მესამე საფეხურის საგანმანათლებლო პროგრამები

სარჩევი

დემოგრაფია 2

კონფლიქტოლოგია 6

კულტურის და მედიის სოციოლოგია 11

მასობრივი კომუნიკაცია 15

ორგანიზაციული და პერსონალური განვითარება 20

პოლიტიკის მეცნიერება 25

საერთაშორისო ურთიერთობები 28

საზოგადოებრივი გეოგრაფია 33

სოციალური მუშაობა 37

სოციოლოგია 41

პროგრამის სახელწოდება	**დემოგრაფია** **Demography**
საფეხური	დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამა
პროგრამაზე დაშვების წინაპირობა	• მაგისტრის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხის ფლობა • უცხოური ენის (ინგლისური ენა) ცოდნა მინიმუმ B2 დონეზე (დადასტურება გამოცდით ან შესაბამისი სერტიფიკატით); • სავარაუდო სამეცნიერო ხელმძღვანელისა და პროგრამის ხელმძღვანელის თანხმობა; • სადოქტორო - კვლევითი პროექტის გეგმის (პროსპექტუსის) წარმოდგენა; • ზეპირი გასაუბრება სპეციალობაში (მათ შორის სადოქტორო კვლევითი პროექტზე - პროსპექტუსზე).
სწავლების ენა	ქართული
კვალიფიკაცია	სოციალური მეცნიერებების დოქტორი დემოგრაფიაში PhD of Social Sciences in Demography
სწავლების ხანგრძლივობა	6 სემესტრი
ECTS	30
სწავლების გადასახადი	1000
პროგრამის განხორციელების ადგილი	თსუ მეექვსე კორპუსი, ჭავჭავაძის 8
პროგრამის განმახორციელებელი ერთეული	
	სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტი
	საზოგადოებრივი გეოგრაფიის მიმართულება
საკონტაქტო პირი	პროგრამის ხელმძღვანელი: პროფესორი ვაჟა ლორთქიფანიძე
	პროგრამის კოორდინატორი: პროფესორი ვაჟა ლორთქიფანიძე
	ტელ.: +995 599 54 09 59
	ელფოსტა: dphil@tsu.ge
	პროგრამის სტრუქტურა
კურსის სტატუსი	ECTS-მოცულობა
კვლევითი კომპონენტი	0 კრედიტი
სავალდებულო დარგობრივი	25 კრედიტი
არჩევითი დარგობრივი	5 კრედიტი
სულ	30 კრედიტი

პროგრამის მიზანი

დემოგრაფიის დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამის მიზანია მაღალკვალიფიციური, საერთაშორისო აკადემიურ და კვლევით ბაზარზე კონკურენტუნარიანი, სპეციალისტის მომზადება, რომელსაც ხელეწიფება პრაქტიკულ სფეროში როგორც დამოუკიდებელი, ისე კოლექტიური საქმიანობის წარმართვა, ასევე დემოგრაფიული მეცნიერების განვითარებასა და მომავალი თაობის სპეციალისტთა აღზრდაში წვლილის შეტანა.

ამ თვალსაზრისით, დოქტორანტურის დამთავრების შემდეგ სპეციალისტი უნდა იყოს:

- *საერთაშორისო პროფესიულ ქსელებსა და საზოგადოებებში თანამშრომლობისა და ახალი ცოდნის გენერირების შემძლე;*
- *საფუძვლიანად უნდა იცნობდეს და ფლობდეს როგორც თანამედროვე დემოგრაფიულ კონცეფციებს, პარადიგმებსა და იდეებს, ასევე ზოგადად სამეცნიერო და ექსპერტულ მეთოდებსა და მიდგომებს;*
- *მზად იყოს საქმიანობის წარმატებით წარმართვისთვის: სახელმწიფო დაწესებულებებში, არასამთავრობო სტრუქტურებსა და კერძო სექტორში, რომლებიც დემოგრაფიის სფეროში მოქმედებს და მას ასევე უნდა შეეძლოს შესაბამისი პროფილის საერთაშორისო ორგანიზაციებთან და კვლევით ცენტრებთან თანამშრომლობა.*

სწავლის მეთოდები

დოქტორანტურაში სწავლების პროცესში გამოყენებული იქნება შემდეგი მეთოდები: ვერბალური; ახსნა-განმარტებითი; ლიტერატურასა და სხვა წყაროებზე მუშაობის; წერითი მუშაობის; შედარებითი ანალიზის; სასწავლო და პედაგოგიური პრაქტიკის; საველე კვლევისა და დაკვირვების; სივრცითი და დროითი ანალიზის; სისტემური მიდგომის; მონაცემთა ვიზუალიზაციისა და კარტოგრაფირების; სტატისტიკური ანალიზისა და სხვა მეთოდები; ელექტორნული სწავლება (E-learning) .

სწავლების პროცესში გამოყენებული იქნება აგრეთვე ისეთი მეთოდები, როგორიცაა: დისკუსია; დებატები; ჯგუფური მუშაობა; პრობლემაზე დაფუძნებული სწავლება; შემთხვევის ანალიზი; გონებრივი იერიში; ქმედებაზე ორიენტირებული სწავლება და ა.შ.

პროგრამის განმახორციელებელი აკადემიური და მოწვეული პერსონალი შესაძლოა იყენებდეს რამდენიმე ან ნებისმიერ სხვა აქტივობებს მათი კონკრეტული სასწავლო ამოცანიდან გამომდინარე.

შეფასების პროცედურები

სტუდენტის სემესტრის განმავლობაში გაწეული შრომის შეფასება ითვალისწინებს:

ა) მისი დამოუკიდებელი მუშაობის შეფასებას;
ბ) შუა სემესტრულ რეიტინგულ შეფასებას;
გ) სემესტრის დასკვნით შეფასებას.

შეფასების თითოეულ ფორმასა და კომპონენტს შეფასების საერთო ქულიდან **(100 ქულა)** განესაზღვრება ხვედრითი წილი საბოლოო შეფასებაში.

დაუშვებელია კრედიტის მინიჭება შეფასების მხოლოდ ერთი ფორმის (შუალედური ან დასკვნითი შეფასება) გამოყენებით.

შეფასების სისტემა უშვებს:

ა) ხუთი სახის დადებით შეფასებას:

(A) ფრიადი – შეფასების 91-100 ქულა;
(B) ძალიან კარგი – მაქსიმალური შეფასების 81-90 ქულა;
(C) კარგი – მაქსიმალური შეფასების 71-80 ქულა;
(D) დამაკმაყოფილებელი – მაქსიმალური შეფასების 61-70 ქულა;
(E) საკმარისი – მაქსიმალური შეფასების 51-60 ქულა.

ბ) ორი სახის უარყოფით შეფასებას:

(FX) ვერ ჩააბარა – მაქსიმალური შეფასების 41-50 ქულა, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტს ჩასაბარებლად მეტი მუშაობა სჭირდება და ეძლევა დამოუკიდებელი მუშაობით დამატებით გამოცდაზე ერთხელ გასვლის უფლება;
(F) ჩაიჭრა – მაქსიმალური შეფასების 40 ქულა და ნაკლები, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტის მიერ ჩატარებული სამუშაო არ არის საკმარისი და მას საგანი ახლიდან აქვს შესასწავლი.

საგანმანათლებლო პროგრამის კომპონენტში, **FX-ის** მიღების შემთხვევაში, დამატებითი გამოცდა დაინიშნება დასკვნითი გამოცდის შედეგების გამოცხადებიდან არანაკლებ 5 დღეში.
სტუდენტის მიერ დამატებით გამოცდაზე მიღებულ შეფასებას არ ემატება დასკვნით შეფასებაში მიღებული ქულათა რაოდენობა.

დამატებით გამოცდაზე მიღებული შეფასება არის დასკვნითი შეფასება და აისახება საგანმანათლებლო პროგრამის კომპონენტის საბოლოო შეფასებაში. დამატებით გამოცდაზე მიღებული შეფასების გათვალისწინებით საგანმანათლებლო კომპონენტის საბოლოო შეფასებაში 0-50 ქულის მიღების შემთხვევაში, სტუდენტს უფორმდება შეფასება **F-0 ქულა.**

შეფასების კრიტერიუმები წარმოადგენს შეფასების მეთოდის საზომ ერთეულს, რითაც დგინდება სწავლის შედეგების მიღწევის დონე საგანმანათლებო პროგრამის თითოეული კომპონენტებისთვის.

დასკვნით გამოცდაზე გასვლის წინაპირობა განისაზღვრება შესაბამისი სასწავლო კურსების სილაბუსებში, ხოლო დასკვნითი გამოცდა ითვლება ჩაბარებულად, თუ სტუდენტმა გამოცდაზე მიიღო მაქსიმალური ქულის 50% (დამატებითი პირობები განისაზღვრება შესაბამისი სასწავლო კურსის სილაბუსის მიხედვით).

სადისერტაციო ნაშრომის, დისერტაციის შეფასება

სადისერტაციო ნაშრომის დაცვის კომისიის წევრების მიერ დისერტაციის შეფასება ხდება კონფიდენციალურად, ასქულიანი სისტემით.

დისერტაციის საბოლოო შეფასებისათვის სადისერტაციო ნაშრომის დაცვის კომისიას გამოყავს ქულათა საშუალო არითმეტიკული, რომელსაც შეუფარდებს შეფასებას შემდეგი სისტემის მიხედვით:

ა) "summa cum laude" - "ფრიადი" – შესანიშნავი ნაშრომი – შეფასების 91-100 ქულა;

ბ) "magna cum laude" - "ძალიან კარგი" – შედეგი, რომელიც წაყენებულ მოთხოვნებს ყოველმხრივ აღემატება, შეფასების 81– 90 ქულა;
გ) "cum laude - "კარგი" – შედეგი, რომელიც წაყენებულ მოთხოვნებს აღემატება, შეფასების 71– 80 ქულა;
დ) "bene" - "საშუალო" – საშუალო დონის ნაშრომი, რომელიც წაყენებულ ძირითად მოთხოვნებს აკმაყოფილებს, შეფასების 61–70 ქულა;
ე) "rite" - "დამაკმაყოფილებელი" – შედეგი, რომელიც, ხარვეზების მიუხედავად, წაყენებულ მოთხოვნებს მაინც აკმაყოფილებს, შეფასების 51– 60 ქულა;
ვ) "insufficienter"-"არადამაკმაყოფილებელი" – არადამაკმაყოფილებელი დონის ნაშრომი, რომელიც ვერ აკმაყოფილებს წაყენებულ მოთხოვნებს მასში არსებული მნიშვნელოვანი ხარვეზების გამო; შეფასების 41–50 ქულა;
ზ) "sub omni canone" - "სრულიად არადამაკმაყოფილებელი" – შედეგი, რომელიც წაყენებულ მოთხოვნებს სრულიად ვერ აკმაყოფილებს, შეფასების 40 ქულა და ნაკლები.

სადისერტაციო ნაშრომის დაცვის პროცესი საჯაროა აკადემიური და უნივერსიტეტის გარე აუდიტორიისათვის.

სწავლის შედეგები

დოქტორანტურის კურსდამთავრებულს აქვს: სოციალურ და დემოგრაფიულ მეცნიერებათა უახლეს მიღწევებზე დამყარებული ცოდნა, რაც არსებული ცოდნის გაფართოებისა თუ ინოვაციური მეთოდების გამოყენების საშუალებას იძლევა (რეფერირებადი პუბლიკაციისთვის აუცილებელი სტანდარტის დონეზე); სიღრმისეულ ცოდნა როგორც ქვეყანაში, ასევე მეზობელ სახელმწიფოებსა და ზოგადად მსოფლიოში მიმდინარე დემოგრაფიულ პროცესებზე, მათ ტენდენციებსა და განვითარების პერსპექტივებზე.

ა) ცოდნა და გაცნობიერება; ბ) უნარები; გ) პასუხისმგებლობა და ავტონომიურობა

პროგრამის დასრულების შემდეგ, კურსდამთავრებული:

1. აცნობიერებს თანამედროვე დემოგრაფიული მეცნიერების როგორც თეორიული ასევე პრაქტიკული ხასიათის მიღწევებს;
2. შეიმუშავებს ჩვენი ქვეყნის დემოგრაფიული პრობლემების გამოსწორების მიზნით, ეფექტური დემოგრაფიული პოლიტიკის ღონისძიებებს;
3. დემოგრაფიის სფეროში დამოუკიდებლად გეგმავს ინოვაციურ კვლევას და ახორციელებს მას;
4. შეიმუშავებს - ახლებურ კვლევით და ანალიტიკურ მეთოდებსა და მიდგომებს, რომლებიც ახალი ცოდნის შექმნაზეა ორიენტირებული და აისახება საერთაშორისო რეფერირებად პუბლიკაციებში; ცალკეული ქვეყნების მიხედვით გატარებული დემოგრაფიული პოლიტიკის გამოცდილებათა გათვალისწინებით, ქვეყნის მდგრადი განვითარებისთვის საჭირო ოპტიმალური დემოგრაფიული პოლიტიკას;
5. სათანადო ინფორმაციის საფუძველზე აანალიზებს დემოგრაფიული მოვლენების განვითარების ტენდენციებს და დამოუკიდებლად იღებს პრობლემის გადაჭრისთვის სწორ და ეფექტურ გადაწყვეტილებას;
6. გარკვევით, დასაბუთებულად წარმოაჩენს დემოგრაფიის სფეროში ახალი ცოდნის არსებულ ცოდნასთან ურთიერთკავშირს და ერთვება საერთაშორისო სამეცნიერო საზოგადოებასთან თემატურ პოლემიკაში უცხოურ ენაზე;
7. დარგთან მიმართებით, დასაბუთებული და არგუმენტირებული დასკვნების საფუძველზე, ამზადებს წერილობით და ზეპირ ანგარიშებს, რომელთაც თანამედროვე ტექნოლოგიების გამოყენებით, აკადემიური და პროფესიული ეთიკის კეთილსინდისიერების პრინციპების დაცვით, პრეზენტაციის სახით წარუდგენს აკადემიურ და ფართო საზოგადოებას.

დასაქმების სფეროები

დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამის კურსდამთავრებულები შესაძლოა დასაქმდნენ უმაღლეს საგანმანათლებლო ან კვლევით დაწესებულებებში; ასევე იმ სახელმწიფო, საზოგადოებრივ და კერძო სტრუქტურებში (ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების, რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროები, სტატისტიკის ეროვნული სამსახური და სხვ.), რომლებიც საქმიანობენ დემოგრაფიის სფეროებში; დასაქმება შესაძლოა აგრეთვე არასამთავრობო ორგანიზაციებსა და მსხვილ საერთაშორისო ბიზნეს-კომპანიებში, რომელთაც უკვე დღეს სჭირდებათ და მომავალში კიდევ უფრო დასჭირდებათ დემოგრაფიის, განსაკუთრებით კი რეგიონული დემოგრაფიისა და მიგრაციის სპეციალისტები.

პროგრამის სახელწოდება	კონფლიქტოლოგია Conflictology
საფეხური	დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამა
პროგრამაზე დაშვების წინაპირობა	• მაგისტრის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხის ფლობა „კონფლიქტოლოგიაში“ ან სხვა სპეციალობაში • უცხოური ენის (ინგლისური ენა) ცოდნა მინიმუმ B2 დონეზე (დადასტურება გამოცდით ან შესაბამისი სერტიფიკატით); • სავარაუდო სამეცნიერო ხელმძღვანელისა და პროგრამის ხელმძღვანელის თანხმობა; • სადოქტორო - კვლევითი პროექტის გეგმის (პროსპექტუსის) წარმოდგენა (იხ. დანართი №1); • ზეპირი გასაუბრება სპეციალობაში (მათ შორის სადოქტორო კვლევითი პროექტზე - პროსპექტუსზე). გასაუბრება სპეციალობაში არის 100 ქულიანი და წარმოადგენს აპლიკანტის საბოლოო შეფასების 100 %-ს; საიდანაც 40 % არის პროსპექტუსის შეწონილობა, ხოლო 60 % კი - კონკრეტულად გასაუბრების, საიდანაც ვლინდება თუ რა ცოდნისა და უნარების მატარებელია აპლიკანტი.
სწავლების ენა	ქართული
კვალიფიკაცია	კონფლიქტოლოგიის დოქტორი Doctor of Conflictology
სწავლების ხანგრძლივობა	6 სემესტრი
ECTS	30
სწავლების გადასახადი	1000
პროგრამის განხორციელების ადგილი	თსუ მეორე კორპუსი, ჭავჭავაძის 3

პროგრამის განმახორციელებელი ერთეული	სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტი
	ინტერდისციპლინური მიმართულება
საკონტაქტო პირი	პროგრამის ხელმძღვანელი: პროფესორი გუგული მაღრაძე პროფესორი რევაზ ჯორბენაძე
	პროგრამის კოორდინატორი: პროფესორი გუგული მაღრაძე პროფესორი რევაზ ჯორბენაძე
	ტელ.: +(995) 577 431617 გუგული მაღრაძე ტელ.: +(995) 599 90 61 54 რევაზ ჯორბენაძე
	ელფოსტა: dphil@tsu.ge
	პროგრამის სტრუქტურა
კურსის სტატუსი	ECTS-მოცულობა
კვლევითი კომპონენტი	0 კრედიტი
სავალდებულო დარგობრივი	25 კრედიტი
არჩევითი დარგობრივი	5 კრედიტი
სულ	30 კრედიტი
პროგრამის მიზანი	

დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამის, კონფლიქტოლოგიის მიზანია:

- დარგის უახლეს მიღწევებზე დამყარებული ცოდნისა და მაღალი დარგობრივი კომპენტეციების მქონე სპეციალისტების, მკვლევრების მომზადება, რომელთაც შეუძლიათ - ახალი ცოდნის შექმნის მიზნით და ინოვაციური მიდგომების გამოყენებით - დაგეგმონ და განახორციელონ კვლევითი სამუშაოები (კონფლიქტოლოგიის დარგის თანამედროვე თეორიული ცოდნისა და კვლევითი სიახლეების ინტეგრირებით);
- მოამზადოს მკვლევარი/პრაქტიკოსები, რომლებსაც შეუძლიათ თავიანთი ცოდნის გამოყენება, ახალი ცოდნის შექმნა და გავრცელება - ინტერპერსონალური, ინტერჯგუფური, ოჯახური, საგანმანათლებლო სისტემის, ეთნიკური, რელიგიური, პოლიტიკური, სამხედრო (სტრატეგიული და უსაფრთხოების, ტერორიზმთან ბრძოლის, თავდაცვითი პოლიტიკის), ბიზნეს თუ სახელმწიფოთაშორის კონფლიქტებისას;
- ხელი შეუწყოს დოქტორანტებს წარმართონ სამეცნიერო - კვლევითი სამუშაოები - დარგისა (კონფლიქტების მოგვარების და პრევენციის, მშვიდობის მშენებლობის და შენარჩუნების და სხვ.) და მის მომიჯნავე სფეროებში - მაღალკვალიფიციურ დონეზე და შეიმუშაონ შესაბამისი რეკომენდაციები;
- მოამზადოს დოქტორანტები სამეცნიერო-პედაგოგიური მუშაობისთვის, რათა მათ შეძლონ ერთი მხრივ, დარგის მომავალი სპეციალისტების მომზადება, ხოლო მეორე მხრივ, წვლილი შეიტანონ დარგისა და სოციუმის განვითარებაში პრაქტიკული საქმიანობით;
- დოქტორანტებმა და შემდგომში უკვე კონფლიქტოლოგიის დოქტორებმა, წვლილი შეიტანონ სხვადასხვა სახის/ტიპის თანამედროვე

კონფლიქტების გადაჭრის პროცესში და ხელი შეუწყონ დარგის განვითარებას.
სწავლის მეთოდები
სწავლის შედეგების მიღწევის მეთოდები: ლექცია; სემინარი; ჯგუფური მუშაობა; ვერბალური და წერითი მუშაობის მეთოდი; პრეზენტაცია; როლური თამაშები; სიტუაციური ანალიზი; დემონსტრირების მეთოდი; ახსნა-განმარტების მეთოდი; დისკუსია/დებატები; წიგნზე მუშაობა; შემთხვევის ანალიზი (Case study); გონებრივი იერიში (Brain storming); პრაქტიკა და გამოცდილებითი სწავლა-სწავლების მეთოდი; ელექტორნული სწავლება (E-learning). პროგრამის განმახორციელებელი აკადემიური და მოწვეული პერსონალი შესაძლოა იყენებდეს რამდენიმე ან ნებისმიერ სხვა აქტივობებს მათი კონკრეტული სასწავლო ამოცანიდან გამომდინარე.
შეფასების პროცედურები
სტუდენტის სემესტრის განმავლობაში გაწეული შრომის შეფასება ითვალისწინებს: ა) მისი დამოუკიდებელი მუშაობის შეფასებას; ბ) შუა სემესტრულ რეიტინგულ შეფასებას; გ) სემესტრის დასკვნით შეფასებას. შეფასების თითოეულ ფორმასა და კომპონენტს შეფასების საერთო ქულიდან **(100 ქულა)** განესაზღვრება ხვედრითი წილი საბოლოო შეფასებაში. დაუშვებელია კრედიტის მინიჭება შეფასების მხოლოდ ერთი ფორმის (შუალედური ან დასკვნითი შეფასება) გამოყენებით. **შეფასების სისტემა უშვებს:** **ა) ხუთი სახის დადებით შეფასებას:** **(A) ფრიადი** – შეფასების 91-100 ქულა; **(B) ძალიან კარგი** – მაქსიმალური შეფასების 81-90 ქულა; **(C) კარგი** – მაქსიმალური შეფასების 71-80 ქულა; **(D) დამაკმაყოფილებელი** – მაქსიმალური შეფასების 61-70 ქულა; **(E) საკმარისი** – მაქსიმალური შეფასების 51-60 ქულა. **ბ) ორი სახის უარყოფით შეფასებას:** **(FX) ვერ ჩააბარა** – მაქსიმალური შეფასების 41-50 ქულა, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტს ჩასაბარებლად მეტი მუშაობა სჭირდება და ეძლევა დამოუკიდებელი მუშაობით დამატებით გამოცდაზე ერთხელ გასვლის უფლება; **(F) ჩაიჭრა** – მაქსიმალური შეფასების 40 ქულა და ნაკლები, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტის მიერ ჩატარებული სამუშაო არ არის საკმარისი და მას საგანი ახლიდან აქვს შესასწავლი.

საგანმანათლებლო პროგრამის კომპონენტში, **FX-ის** მიღების შემთხვევაში, დამატებითი გამოცდა დაინიშნება დასკვნითი გამოცდის შედეგების გამოცხადებიდან არანაკლებ 5 დღეში.
სტუდენტის მიერ დამატებით გამოცდაზე მიღებულ შეფასებას არ ემატება დასკვნით შეფასებაში მიღებული ქულათა რაოდენობა.

დამატებით გამოცდაზე მიღებული შეფასება არის დასკვნითი შეფასება და აისახება საგანმანათლებლო პროგრამის კომპონენტის საბოლოო შეფასებაში.
დამატებით გამოცდაზე მიღებული შეფასების გათვალისწინებით საგანმანათლებლო კომპონენტის საბოლოო შეფასებაში 0-50 ქულის მიღების შემთხვევაში, სტუდენტს უფორმდება შეფასება **F-0 ქულა.**

შეფასების კრიტერიუმები წარმოადგენს შეფასების მეთოდის საზომ ერთეულს, რითაც დგინდება სწავლის შედეგების მიღწევის დონე საგანმანათლებო პროგრამის თითოეული კომპონენტებისთვის.

დასკვნით გამოცდაზე გასვლის წინაპირობა განისაზღვრება შესაბამისი სასწავლო კურსების სილაბუსებში, ხოლო დასკვნითი გამოცდა ითვლება ჩაბარებულად, თუ სტუდენტმა გამოცდაზე მიიღო მაქსიმალური ქულის 50% (დამატებითი პირობები განისაზღვრება შესაბამისი სასწავლო კურსის სილაბუსის მიხედვით).

სადისერტაციო ნაშრომის, დისერტაციის შეფასება

სადისერტაციო ნაშრომის დაცვის კომისიის წევრების მიერ დისერტაციის შეფასება ხდება კონფიდენციალურად, ასქულიანი სისტემით.

დისერტაციის საბოლოო შეფასებისათვის სადისერტაციო ნაშრომის დაცვის კომისიას გამოყავს ქულათა საშუალო არითმეტიკული, რომელსაც შეუფარდებს შეფასებას შემდეგი სისტემის მიხედვით:

ა) "summa cum laude" - "ფრიადი" – შესანიშნავი ნაშრომი – შეფასების 91-100 ქულა;
ბ) "magna cum laude" - "ძალიან კარგი" – შედეგი, რომელიც წაყენებულ მოთხოვნებს ყოველმხრივ აღემატება, შეფასების 81– 90 ქულა;
გ) "cum laude - "კარგი" – შედეგი, რომელიც წაყენებულ მოთხოვნებს აღემატება, შეფასების 71– 80 ქულა;
დ) "bene" - "საშუალო" – საშუალო დონის ნაშრომი, რომელიც წაყენებულ ძირითად მოთხოვნებს აკმაყოფილებს, შეფასების 61–70 ქულა;
ე) "rite" - "დამაკმაყოფილებელი" – შედეგი, რომელიც, ხარვეზების მიუხედავად, წაყენებულ მოთხოვნებს მაინც აკმაყოფილებს, შეფასების 51– 60 ქულა;
ვ) "insufficienter"-"არადამაკმაყოფილებელი" – არადამაკმაყოფილებელი დონის ნაშრომი, რომელიც ვერ აკმაყოფილებს წაყენებულ მოთხოვნებს მასში არსებული მნიშვნელოვანი ხარვეზების გამო; შეფასების 41–50 ქულა;
ზ) "sub omni canone" - "სრულიად არადამაკმაყოფილებელი" – შედეგი, რომელიც წაყენებულ მოთხოვნებს სრულიად ვერ აკმაყოფილებს, შეფასების 40 ქულა და ნაკლები.

სადისერტაციო ნაშრომის დაცვის პროცესი საჯაროა აკადემიური და უნივერსიტეტის გარე აუდიტორიისათვის.

სწავლის შედეგები
ა) ცოდნა და გაცნობიერება; ბ) უნარები; გ) პასუხისმგებლობა და ავტონომიურობა **დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამის დასრულების შემდეგ კურსდამთავრებული:** 1. კრიტიკულად აფასებს, კომპლექსურად განაზოგადებს კონფლიქტების სფეროში არსებულ უახლეს თეორიებს და მიდგომებს ინტერდისციპლინური რაკურსით; 2. სისტემურად აანალიზებს კონფლიქტების მართვის სფეროში უახლეს მიღწევებზე დამყარებულ კონცეფციებს და პარადიგმებს, მსოფლიოში მიმდინარე კონფლიქტებსა და მათ გამომწვევ მიზეზებს; 3. ცოდნაზე დაფუძნებული ახალი იდეების შეჯამებით, კონფლიქტური სიტუაციის დიაგნოსტირებით, განსაზღვრავს პრობლემას და დასაბუთებული დასკვნების საფუძველზე ეძიებს პრობლემური სიტუაციის ახლებურად გადაჭრის გზებს; 4. დამოუკიდებლად, ავტონომიურობის მაღალი ხარისხით, გეგმავს, წარმართავს და უძღვება დარგთან დაკავშირებულ ინოვაციურ, მეცნიერულ და პრაქტიკაზე ფოკუსირებულ კვლევით საქმიანობას; თანამედროვე საკომუნიკაციო საშუალებებით მოიძიებს და სხვადასხვა რაკურსით გამოიყენებს კონფლიქტთან დაკავშირებულ ინფორმაციას; 5. შეიმუშავებს ახალი ცოდნის შექმნაზე ორიენტირებულ, თანამედროვე კვლევით და ანალიტიკურ მეთოდებზე დაყრდნობით ახლებურ მიდგომებს; ავითარებს ახალ იდეებს კონფლიქტოლოგიის დარგში სწავლა-სწავლების, შემდგომი კვლევებისა და პროფესიული საქმიანობის გაღრმავების მიზნით; შეიმუშავებს დარგისთვის შესაბამის რეკომენდაციებს; 6. აკადემიური/პროფესიული საქმიანობისას წარმოადგენს დარგის ორიგინალურ მეთოდებს, მიდგომებს, კონცეფციებს და საკუთარი წვლილი შეაქვს მის განვითარებაში; 7. დარგთან მიმართებით, დასაბუთებული და არგუმენტირებული დასკვნების საფუძველზე, ამზადებს წერილობით და ზეპირ ანგარიშებს, რომელთაც პრეზენტაციის სახით წარუდგენს აკადემიურ და ფართო საზოგადოებას. ერთვება დებატებსა და დისკუსიებში და იცავს საკუთარ პოზიციას აკადემიური და პროფესიული ეთიკის კეთილსინდისიერების პრინციპების დაცვით; 8. მონაწილეობას იღებს კულტურათა დიალოგის პროცესში და აღიარებს კულტურათა მრავალფეროვნებას; იცავს, აფასებს და პატივს სცემს სხვათა პროფესიულ ღირებულებით ორიენტაციებს.
დასაქმების სფეროები
დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამის კურსდამთავრებულების, როგორც კონფლიქტოლოგიის დოქტორების, დასაქმების სფერო ფართოა: • როგორც საქართველოში, ისე მსოფლიოს სხვა ქვეყნებში სამთავრობო, არასამთავრობო და კერძო ინსტიტუციები; ადგილობრივი თემი; სასწავლო დაწესებულებები და სხვ. • კვლევით ცენტრებში დარგის კომპეტენციის ფარგლებში (მაგ.: დანაშაულის პრევენციის ცენტრი; ICCN კონფლიქტებისა და მოლაპარაკებების საერთაშორისო კვლევითი ცენტრი; გეოპოლიტიკური კვლევების საერთაშორისო ცენტრი - ICGS და სხვ.) • სხვადასხვა ინსტიტუტებში (მაგ.: თსუ-ს კონფლიქტოლოგიის ინსტიტუტი; კონფლიქტების მართვის ინსტიტუტი - ICM Georgia და სხვ.); • ადგილობრივი და საერთაშორისო უსაფრთხოების სამსახურები; • ქვეყნის საგარეო და თავდაცვითი პოლიტიკის სფერო.

პროგრამის სახელწოდება	**კულტურის და მედიის სოციოლოგია** **Sociology of Culture and Media**
საფეხური	დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამა
პროგრამაზე დაშვების წინაპირობა	• პროგრამაზე დაიშვებიან სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის, ფსიქოლოგიისა და განათლების მეცნიერებათა ფაკულტეტის, ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის, ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის სამაგისტრო პროგრამების კურსდამთავრებულები, მაგისტრისან გათანაბრებული ხარისხის მქონე, საქართველოს ფარგლებს გარეთ მიღებული განათლების შემთხვევაში,,,უმაღლესი განათლების შესახებ'' საქართველოს კანონის 50-ემუხლის მოთხოვნათა შესაბამისად აღიარებული დიპლომის მფლობელი პირები, რომლებიც სოციალური თეორიის და მეთოდების (რაოდენობრივი და თვისებრივი) სათანადო კომპეტენციას ფლობენ, რათა ემპირიული კვლევის წარმართვა და შესაბამისი სოციალური თეორიებით მისი გამყარება შეძლონ; • ინგლისური ენის ცოდნა მინიმუმ B2 დონეზე; • სავარაუდო სამეცნიერო ხელმძღვანელისა და პროგრამის ხელმძღვანელის თანხმობა; • გასაუბრება და გასაუბრების შედეგების საფუძველზე დოქტორანტურაში მიმღები კომისიის მიერ გაწეული რეკომენდაცია; • სადოქტორო კვლევითი პროექტის (პროსპექტუსი) გეგმა, რომელსაც დოქტორნატურაში ჩაბარების მსურველი წარმოადგენს.
სწავლების ენა	ქართული
კვალიფიკაცია	სოციოლოგიის დოქტორი PhD in Sociology
სწავლების ხანგრძლივობა	6 სემესტრი
ECTS	30
სწავლების გადასახადი	1000
პროგრამის განხორციელების ადგილი	თსუ მეექვსე კორპუსი, ჭავჭავაძის 8
პროგრამის განმახორციელებელი ერთეული	
	სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტი
	სოციოლოგიისა და სოციალური მუშაობის მიმართულება
საკონტაქტო პირი	პროგრამის ხელმძღვანელი: ამირან ბერძენიშვილი, ფილოსოფიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი ლია წულაძე, სოციოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, ასოცირებული პროფესორი,

	პროგრამის კოორდინატორი: ამირან ბერძენიშვილი, ფილოსოფიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი ლია წულაძე, სოციოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, ასოცირებული პროფესორი,
	ტელ.: +995 599 36 58 45 +995 593 21 38 12
	ელფოსტა: dphil@tsu.ge

	პროგრამის სტრუქტურა
კურსის სტატუსი	ECTS-მოცულობა
კვლევითი კომპონენტი	30 კრედიტი
სავალდებულო დარგობრივი	25 კრედიტი
არჩევითი დარგობრივი	5 კრედიტი
სულ	30 კრედიტი

პროგრამის მიზანი

დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამის მიზანია დამოუკიდებელი და სრულფასოვანი მკვლევრების მომზადება კულტურის და მედიის სოციოლოგიის სფეროში, რომლებიც შეძლებენ:

- დარგობრივი ცოდნის გამდიდრებას ორიგინალური თეორიული და/ან მეთოდოლოგიური ხედვის შემოთავაზებით;
- ახალი ცოდნის შექმნის მიზნით ინოვაციური კვლევების განხორციელებას თვისებრივი და/ან რაოდენობრივი მეთოდების გამოყენებით, ან მათი ინტეგრირების გზით, ხოლო მიღებული შედეგების გავრცელებას და დანერგვას როგორც საგანმანათლებლო სფეროში, ასევე შრომის ბაზარზე;
- მულტიდისციპლინური პერსპექტივის განვითარებას, მომიჯნავე სფეროების (კულტურის ანთროპოლოგია, კულტურის კვლევები, მედიის კვლევები, კროსკულტურული ფსიქოლოგია და სხვ.) უახლესი მონაცემების ინტეგრირების საფუძველზე;
- სწავლების უფრო დაბალ საფეხურზე მყოფი სტუდენტებისთვის (ბაკალავრიატის და მაგისტრატურის საფეხურები) საკუთარი ცოდნის გადაცემასა და კომპეტენტური კადრების მომზადებას;
- მომავალი თაობის პროფესიულ განვითარებასა და საზოგადოების წინსვლაში შესაბამისი წვლილის შეტანას.

სწავლის მეთოდები

- **წიგნზე მუშაობის მეთოდი** - საკვლევ სფეროში არსებული უახლესი ლიტერატურის გაცნობა-დამუშავება, შემოქმედებითად გააზრება და მის საფუძველზე საკუთარი ემპირიული კვლევისთვის თეორიული ჰიპოთეზების შემუშავება.
- **წერითი მუშაობის მეთოდი** - კვლევის მონაცემების წარდგენა სხვადასხვა ჟანრის აკადემიური ნაშრომის სახით (არგუმენტირებული ესე, ანალიტიკური რეფერატი, რეცენზია და სხვ.); კვლევითი სემინარის და სამეცნიერო-კვლევითი პროექტების წერითი ფორმით წარდგენა (ზეპირ პრეზენტაციასთან ერთად).

- **პრაქტიკული მეთოდები** - ემპირიული კვლევის დამოუკიდებლად დაგეგმვა და წარმართვა და მისთვის ადეკვატური კვლევის მეთოდების შერჩევა-გამოყენება, აგრეთვე მათი ორიგინალური სინთეზი (ინტერდისციპლინურობის და მულტიმეთოდურობის პრინციპების გათვალისწინებით).
- **დისკუსია–დებატები** - მომიჯნავე სფეროებით დაინტერესებულ დოქტორანტებთან დისკუსიების წარმართვა; სწავლების ქვედა საფეხურზე მყოფი სტუდენტების დისკუსიებში ჩართვა და მათი მოდერაცია (პროფესორის ასისტენტობისას);
- **კვლევის პროცესში ჯგუფური ინტერვიუს** დამოუკიდებლად ჩატარება და მოდერაცია;
- **დარგის სპეციალისტებთან დისკუსია-დებატების წარმართვა,** საკუთარი არგუმენტების ნათლად ფორმულირების და დამაჯერებელი მხარდაჭერით გამყარების, აგრეთვე ოპონენტის არგუმენტების დასაბუთებულად უკუგდების საფუძველზე.
- **ჯგუფური მუშაობა** - გუნდური მუშაობის პრაქტიკა კვლევით პროექტებში მონაწილეობის, აგრეთვე სწავლების ქვედა საფეხურზე მყოფი სტუდენტებისთვის მცირემასშტაბური კვლევითი პროექტების დაგეგმვის და ხელმძღვანელობის გზით.
- **პრობლემაზე დაფუძნებული სწავლება** - საკვლევი პრობლემის სწორად დასმა და მის გადასაჭრელად ადეკვატური საკვლევი ინსტრუმენტების შერჩევა; პრობლემის გადაჭრის არსებული გზების ინოვაციური ხედვით გამდიდრება.
- **შემთხვევის ანალიზი (Case Study)** - საკვლევ საკითხთან დაკავშირებით, სხვა ქვეყნების და რეგიონების რეალობიდან მსგავსი შემთხვევების კომპარატიული ანალიზი, საკუთარი რეგიონის და საზოგადოების რეალობიდან მსგავსი შემთხვევების კომპარატიული ანალიზი, საკუთარი შემთხვევის ინტერპრეტაცია და კრიტიკული შეფასება სხვა შემთხვევების კონტექსტში.

სილაბუსით გათვალისწინებული სხვა მეთოდები.

შეფასების პროცედურები

დოქტორანტის სასწავლო კომპონენტები ფასდება 100-ქულიანი სისტემით. მინიმალურ შეფასებას წარმოადგენს 51 ქულა.
დაუშვებელია სტუდენტის სემესტრული მიღწევის შეფასება მხოლოდ სემესტრის ბოლოს ჩატარებული გამოცდის მიხედვით (შეფასება ითვალისწინებს შუალედურ და დასკვნით შეფასებებს).

შეფასებათა სისტემა უშვებს ხუთი სახის დადებით შეფასებას:

(A) ფრიადი –შეფასების 91-100 ქულა;
(B) ძალიან კარგი – მაქსიმალური შეფასების 81-90 ქულა;
(C) კარგი – მაქსიმალური შეფასების 71-80 ქულა;
(D) დამაკმაყოფილებელი – მაქსიმალური შეფასების 61-70 ქულა;
(E) საკმარისი – მაქსიმალური შეფასების 51-60 ქულა.

არსებობს ორი სახის უარყოფითი შეფასება:

(FX) ვერ ჩააბარა – მაქსიმალური შეფასების 41-50 ქულა, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტს ჩასაბარებლად მეტი მუშაობა სჭირდება და ეძლევა დამოუკიდებელი მუშაობით ხელახლა გამოცდაზე გასვლის უფლება;
(F) ჩაიჭრა – მაქსიმალური შეფასების 40 ქულა და ნაკლები, სტუდენტს მნიშვნელოვანი სამუშაო აქვს ჩასატარებელი, ანუ საგანი ახლიდან აქვს შესასწავლი.

საგანმანათლებლო პროგრამის კომპონენტში, **FX-ის** მიღების შემთხვევაში უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება ვალდებულია დამატებითი გამოცდა დანიშნოს დასკვნითი გამოცდის შედეგების გამოცხადებიდან არანაკლებ 5 დღეში.

სადისერტაციო ნაშრომი ფასდება საუნივერსიტეტო სტანდარტის შესაბამისად.
სადისერტაციო ნაშრომის დაცვის კომისიის წევრების მიერ დისერტაციის შეფასება ხდება კონფიდენციალურად, ასქულიანი სისტემით.

დისერტაციის საბოლოო შეფასებისათვის სადისერტაციო ნაშრომის დაცვის კომისიას გამოყავს ქულათა საშუალო არითმეტიკული, რომელსაც შეუფარდებს შეფასებას შემდეგი სქემის მიხედვით:

ა) ფრიადი (summa cum laude) – შესანიშნავი ნაშრომი - შეფასების 91-100 ქულა;
ბ) ძალიან კარგი (magna cum laude) – შედეგი, რომელიც წაყენებულ მოთხოვნებს ყოველმხრივ აღემატება - მაქსიმალური შეფასების 81-90 ქულა;
გ) კარგი (cum laude) – შედეგი, რომელიც წაყენებულ მოთხოვნებს აღემატება - მაქსიმალური შეფასების 71-80 ქულა;
დ) საშუალო (bene) – საშუალო დონის ნაშრომი, რომელიც წაყენებულ ძირითად მოთხოვნებს აკმაყოფილებს - მაქსიმალური შეფასების 61-70 ქულა;
ე) დამაკმაყოფილებელი (rite) – შედეგი, რომელიც, ხარვეზების მიუხედავად, წაყენებულ მოთხოვნებს მაინც აკმაყოფილებს - მაქსიმალური შეფასების 51-60 ქულა;
ვ) არადამაკმაყოფილებელი (insufficient) – არადამაკმაყოფილებელი დონის ნაშრომი, რომელიც ვერ აკმაყოფილებს წაყენებულ მოთხოვნებს მასში არსებული მნიშვნელოვანი ხარვეზების გამო - მაქსიმალური შეფასების 41-50 ქულა;
ზ) სრულიად არადამაკმაყოფილებელი (sub omni canone) – შედეგი, რომელიც წაყენებულ მოთხოვნებს სრულიად ვერ აკმაყოფილებს - მაქსიმალური შეფასების 40 ქულა და ნაკლები.

მე-2 პუნქტის „ვ" ქვეპუნქტით გათვალისწინებული შეფასების მიღების შემთხვევაში დოქტორანტს უფლება ეძლევა ერთი წლის განმავლობაში წარადგინოს გადამუშავებული სადისერტაციო ნაშრომი;
ხოლო „ზ" ქვეპუნქტით გათვალისწინებული შეფასების მიღების შემთხვევაში დოქტორანტი კარგავს იგივე სადისერტაციო ნაშრომის წარდგენის უფლებას.

სწავლის შედეგები

ა) ცოდნა და გაცნობიერება; ბ) უნარი; გ) პასუხისმგებლობა და ავტონომიურობა

დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამის დასრულების შემდეგ კურსდამთავრებული:

- ორიგინალურად ინტერპრეტირებს კულტურის და მედიის სოციოლოგიაში თანამედროვე თეორიებს სისტემური და კრიტიკული გააზრების საფუძველზე;
- კრიტიკულად აანალიზებს ინფორმაციულ საზოგადოებაში სოციოკულტურულ პროცესებს;
- აცნობიერებს კულტურისა და მედიის ფენომენების საკვლევად ინტერდისციპლინური და მულტიმეთოდური მიდგომის სპეციფიკას და აღიარებს უპირატესობას ვიწრო დისციპლინურ ხედვასთან შედარებით;
- დამოუკიდებლად განხორციელებული კვლევის საფუძველზე, პრობლემის გადაჭრის ორიგინალური ხედვის შეთავაზებით შეაქვს წვლილი საკვლევ სფეროში არსებული ცოდნის განახლებაში;

- დამოუკიდებლად გეგმავს და ახორციელებს ემპირიულ კვლევას ინფორმაციულ საზოგადოებაში სოციოკულტურული პროცესების შესასწავლად;
- დამოუკიდებლად, აკადემიური კეთილსინდისიერების პრინციპების დაცვით, გეგმავს კვლევის თითოეულ ეტაპს: არჩევს/ასაბუთებს საკვლევ ინსტრუმენტებსა და შესაბამის კვლევის მეთოდებს, იყენებს მათ ინოვაციურად და ახდენს მიღებული მონაცემების სათანადოდ კოდირებას, კატეგორიზაციასა და სინთეზს; აანალიზებს, აფასებს მათ კრიტიკულად და ინტერპრეტირებს ემპირიულ მიგნებებს ორიგინალურად;
- ახლებურად იაზრებს სოციოკულტურულ პრობლემებს რთული ან წინააღმდეგობრივი იდეებისა და მიდგომების კრიტიკული ანალიზით და მათ საფუძველზე შეიმუშავებს ახალ კვლევით ან ანალიტიკურ მიდგომებს; მიღებულ ცოდნას და უნარებს იყენებს სხვადასხვა სოციოკულტურულ გარემოში;
- ახდენს ახალი ცოდნის არსებულ ცოდნასთან შემოქმედებით ინტეგრაციას და კვლევის შედეგებს წარადგენს პუბლიკაციის სახით საერთაშორისო რეფერირებადი სტანდარტის შესაბამისად;
- დაგროვილი ექსპერტიზის საფუძველზე ამზადებს საკვლევი თემატიკის შესაბამის სასწავლო-მეთოდურ მასალებს და წარმართავს სასწავლო პროცესს სტუდენტზე ორიენტირებული მიდგომების გამოყენებით;
- ინოვაციურობისა და დამოუკიდებლობის დემონსტრირებით, გეგმავს და ახორციელებს საკუთარ და სხვათა აკადემიურ თუ პროფესიულ განვითარებაზე ორიენტირებულ საგანმანათლებლო თუ სამეცნიერო აქტივობებს;
- შედის რესპონდენტებთან ეთიკურ და კორექტულ ურთიერთობაში, იცავს მათ კონფიდენციალობას და კვლევის ეთიკის ძირითად პრინციპებს;
- ხელს უწყობს აკადემიური კეთილსინდისიერების პრინციპების დაცვას, დარგში პროფესიული ღირებულებების დამკვიდრებასა და განმტკიცებას.

დასაქმების სფეროები

სამთავრობო და არასამთავრობო, ადგილობრივი და საერთაშორისო ორგანიზაციები, რომლებიც ორიენტირებულია სოციოკუტურული ცვლილებების დინამიკის წვდომაზე; კულტურის და მედიის კვლევების და ზოგადად, სოციოლოგიის სასწავლო პროგრამების მქონე უმაღლესი სასწავლებლები; სამეცნიერო/კვლევითი ცენტრები, პოლიტიკური კონსულტაციის ცენტრები, მასმედიის საშუალებები, პრესცენტრები, საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურები.

პროგრამის სახელწოდება	მასობრივი კომუნიკაცია Mass Communication
საფეხური	დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამა
პროგრამაზე დაშვების წინაპირობა	• მაგისტრის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხის ფლობა მასობრივ კომუნიკაციაში, სოციალურ მეცნიერებებში ან სხვა სპეციალობაში;

	• უცხოური ენის ცოდნა მინიმუმ B2 დონეზე (დამადასტურებელი სერთიფიკატის წარმოდგენა ან გამოცდის ჩაბარება (წერითი)); • სავარაუდო სამეცნიერო ხელმძღვანელისა და პროგრამის ხელმძღვანელის თანხმობა; • სადოქტორო კვლევითი პროექტის გეგმის (პროსპექტუსი) წარმოდგენა; • გასაუბრება სპეციალობაში (მათ შორს სადოქტორო კვლევითი პროექტის - პროსპექტურის შესახებ).
სწავლების ენა	ქართული
კვალიფიკაცია	მასობრივი კომუნიკაციის დოქტორი Doctor of Mass Communication
სწავლების ხანგრძლივობა	6 სემესტრი
ECTS	30
სწავლების გადასახადი	1000
პროგრამის განხორციელების ადგილი	თსუ მეექვსე კორპუსი, ჭავჭავაძის 8
პროგრამის განმახორციელებელი ერთეული	
	სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტი
	ჟურნალისტიკისა და მასობრივი კომუნიკაციის მიმართულება
საკონტაქტო პირი	პროგრამის ხელმძღვანელი: ნინო ჭალაგანიძე, ჟურნალისტიკის დოქტორი, ასოცირებული პროფესორი ნათია კუპრაშვილი, ჟურნალისტიკის დოქტორი, ასოცირებული პროფესორი
	პროგრამის კოორდინატორი: ნინო ჭალაგანიძე, ჟურნალისტიკის დოქტორი, ასოცირებული პროფესორი ნათია კუპრაშვილი, ჟურნალისტიკის დოქტორი, ასოცირებული პროფესორი
	ტელ.: (+995) 577 551636 ნინო ჭალაგანიძე ტელ.: (+995) 555 361321 ნათია კუპრაშვილი
	ელფოსტა: dphil@tsu.ge
	პროგრამის სტრუქტურა
კურსის სტატუსი	ECTS-მოცულობა
კვლევითი კომპონენტი	30 კრედიტი
სავალდებულო დარგობრივი	25 კრედიტი
არჩევითი დარგობრივი	5 კრედიტი
სულ	30 კრედიტი

პროგრამის მიზანი

პროგრამა ეფუძნება მედიის სფეროში საყოველთაოდ აღიარებულ ღირებულებებს, ორიგინალური კვლევისა და ინტერდისციპლინური გამოცდილების შეძენის პრინციპს. პროგრამა ამზადებს მომავალ ლექტორებს და მკვლევრებს ჟურნალისტიკისა და მასკომუნიკაციის მიმართულებით.

დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამის მიზანია:

- მოამზადოს მასობრივი კომუნიკაციის თეორიული და პრაქტიკული ცოდნით აღჭურვილი სპეციალისტი, რომელიც შეძლებს მეცნიერული, ინტერდისციპლინური მიდგომებით კვლევას, თანამედროვე მედიისა და მასობრივი კომუნიკაციის მიმართულებით ახალი ცოდნის და მეცნიერული გამოცდილების შექმნას;
- გამოუმუშაოს დოქტორანტებს თანამედროვე მედიისა და მასობრივი კომუნიკაციის მიმართულებით კრიტიკული ხედვა, მედიასისტემების ანალიზისა და ჟურნალისტის პროფესიული უნარ-ჩვევები;
- ხელი შეუწყოს დოქტორანტებს მასობრივი კომუნიკაციის თეორიული თუ პრაქტიკული ასპექტების მეცნიერული და ინტერდისციპლინური მიდგომებით, ღირებულებებზე დაფუძნებული კვლევების წარმოებასა და რეკომენდაციების შემუშავებაში;
- მოამზადოს დოქტორანტები სამეცნიერო-პედაგოგიური მუშაობისთვის, რათა მათ შეძლონ ჩაერთონ სწავლა-სწავლების პროცესში და ახალი ცოდნა გადასცენ როგორც საუნივერსიტეტო აუდიტორიას, ისე დაინტერესებულ პირებს.

სწავლის მეთოდები

- ვერბალური;
- დისკუსია/დებატები;
- წყაროებთან მუშაობა;
- დემონსტრირება;
- ინდუქცია, დედუქცია, ანალიზი და სინთეზი.
- წერითი მუშაობა;
- ელექტრონული სწავლება (E-learning).

პროფესორი შეიძლება იყენებდეს ერთ ან რამდენიმე მეთოდს, კონკრეტული სასწავლო-კვლევითი ამოცანის შესასრულებლად.

შეფასების პროცედურები

დაუშვებელია სტუდენტის (დოქტორანტის) სემესტრული მიღწევის შეფასება მხოლოდ სემესტრის ბოლოს ჩატარებული გამოცდის მიხედვით.

სტუდენტის სემესტრის განმავლობაში გაწეული შრომის შეფასება ითვალისწინებს:

ა) მისი დამოუკიდებელი მუშაობის შეფასებას;
ბ) შუა სემესტრულ რეიტინგულ შეფასებას;
გ) სემესტრის დასკვნით შეფასებას.

შეფასებათა სისტემა უშვებს ხუთი სახის დადებით შეფასებას:

ა) **(A) ფრიადი** –შეფასების 91-100 ქულა;

ბ) **(B) ძალიან კარგი** – მაქსიმალური შეფასების 81-90 ქულა;
გ) **(C) კარგი** – მაქსიმალური შეფასების 71-80 ქულა;
დ) **(D) დამაკმაყოფილებელი** – მაქსიმალური შეფასების 61-70 ქულა;
ე) **(E) საკმარისი** – მაქსიმალური შეფასების 51-60 ქულა;

არსებობს ორი სახის უარყოფითი შეფასება:

ვ) **(FX) ვერ ჩააბარა** – მაქსიმალური შეფასების 41-50 ქულა, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტს ჩასაბარებლად მეტი მუშაობა სჭირდება და ეძლევა დამოუკიდებელი მუშაობით ხელახლა გამოცდაზე გასვლის უფლება;
ზ) **(F) ჩაიჭრა** – მაქსიმალური შეფასების 40 ქულა და ნაკლები, სტუდენტს მნიშვნელოვანი სამუშაო აქვს ჩასატარებელი, ანუ საგანი ახლიდან აქვს შესასწავლი.

დასკვნით და დამატებით გამოცდას შორის შუალედი უნდა იყოს არა ნაკლებ 5 (ხუთი) კალენდარული დღისა.

სადისერტაციო ნაშრომის დაცვის კომისიის წევრების მიერ დისერტაციის შეფასება ხდება კონფიდენციალურად, ასქულიანი სისტემით.

დისერტაციის საბოლოო შეფასებისათვის სადისერტაციო ნაშრომის დაცვის კომისიას გამოყავს ქულათა საშუალო არითმეტიკული, რომელსაც შეუფარდებს შეფასებას შემდეგი სისტემის მიხედვით:

ხუთი სახის დადებითი შეფასება:

ა) "summa cum laude" - "ფრიადი" – შესანიშნავი ნაშრომი – შეფასების 91-100 ქულა;
ბ) "magna cum laude" - "ძალიან კარგი" – შედეგი, რომელიც წაყენებულ მოთხოვნებს ყოველმხრივ აღემატება, შეფასების 81– 90 ქულა;
გ) "cum laude - "კარგი" – შედეგი, რომელიც წაყენებულ მოთხოვნებს აღემატება, შეფასების 71– 80 ქულა;
დ) "bene" - "საშუალო" – საშუალო დონის ნაშრომი, რომელიც წაყენებულ ძირითად მოთხოვნებს აკმაყოფილებს, შეფასების 61–70 ქულა;
ე) "rite" - "დამაკმაყოფილებელი" – შედეგი, რომელიც, ხარვეზების მიუხედავად, წაყენებულ მოთხოვნებს მაინც აკმაყოფილებს, შეფასების 51–60 ქულა;
ვ) "insufficienter"-"არადამაკმაყოფილებელი" – არადამაკმაყოფილებელი დონის ნაშრომი, რომელიც ვერ აკმაყოფილებს წაყენებულ მოთხოვნებს მასში არსებული მნიშვნელოვანი ხარვეზების გამო; შეფასების 41–50 ქულა;
ზ) "sub omni canone" - "სრულიად არადამაკმაყოფილებელი" – შედეგი, რომელიც წაყენებულ მოთხოვნებს სრულიად ვერ აკმაყოფილებს, შეფასების 40 ქულა და ნაკლები.

სწავლის შედეგები

დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამის დასრულების შემდეგ კურსდამთავრებული:

ცოდნა და გაცნობიერება

- კრიტიკულად, სიღრმისეულად და კომპლექსურად, ინტერდისციპლინური რაკურსში აანალიზებს მასობრივი კომუნიკაციისა და მისი ცალკეული დისციპლინების ფარგლებში უახლეს თეორიებს, მედიის დარგში უახლეს მიღწევებზე დამყარებულ კონცეფციებს;
- მასობრივი კომუნიკაციის საშუალებების ემპირიული შესწავლისა და ანალიზისას ეყრდნობა მედიის კვლევის უახლეს მეთოდებს;

- განსაზღვრავს დარგში უახლესი მიღწევების როლს, ახალი ცოდნის შეძენისა და ინოვაციური კვლევის მეთოდების დაუფლების მნიშვნელობას.

უნარი

- დამოუკიდებლად გეგმავს და წარმართავს დარგთან დაკავშირებულ ინოვაციურ და საზოგადოდ, მეცნიერულ და გამოყენებით კვლევით საქმიანობას;
- შეარჩევს საკვლევი სფეროს შესატყვის სტრატეგიას, კვლევის მეთოდს, ამუშავებს მოპოვებულ მონაცემებს და შესაბამისად განმარტავს მათ;
- კრიტიკულად აანალიზებს და აფასებს ახალ, რთულ და წინააღმდეგობრ იდეებს და მიდგომებს, რითაც შეიმუშავებს/განავითარებს ახალ მეთოდოლოგიას, სწორად და ეფექტიანად გადაჭრის პრობლემას;
- ამყარებს პროფესიულ კომუნიკაციას ადგილობრივ და საერთაშორისო სამეცნიერო საზოგადოებასთან, სწავლისა და საქმიანობის, მათ შორის, კვლევის პროცესში;
- ქმნის ახლებურ მიდგომებს მიღებული თეორიული ცოდნის განვითარებისა და პრაქტიკული გამოცდილების კრიტიკული ანალიზის საფუძველზე, მასობრივი კომუნიკაციის ორგანიზაციული კულტურის, მმართველობითი ურთიერთობისა და ეთიკის სფეროში.

პასუხისმგებლობა და ავტონომიურობა

- დამოუკიდებლად გეგმავს და ახორციელებს საკუთარ და სხვათა აკადემიურ და დარგობრივ განვითარებაზე ორიენტირებულ საგანმანათლებლო ან კვლევით საქმიანობას;
- იცავს პროფესიულ და კვლევის ეთიკას რესპონდენტებთან, თანამშრომლებთან და კოლაბორატორებთან;
- ხელს უწყობს დარგში პროფესიული ღირებულებების დამკვიდრებასა და განმტკიცებას;
- ხელს უწყობს მასობრივი კომუნიკაციის თეორიების, მოდელების, მასკომუნიკაციის ძირითადი ტენდენციების, კომუნიკაციის პროცესის კვლევის შედეგების ანალიზს; დარგში ისეთი ტიპის ახალი ცოდნის შექმნას, რომელსაც სამეცნიეროს გარდა, აქვს გამოყენებითი მნიშვნელობაც: შეაქვს წვლილი მასობრივი კომუნიკაციის სფეროში სხვადასხვა სახის სასწავლო კურსის/პროგრამის შექმნასა და აკადემიური საქმიანობის გაძლიერებაში.

დასაქმების სფეროები

- საგანმანათლებლო დაწესებულებები;
- მასმედიის საშუალებები;
- საჯარო სექტორი (როგორც ცენტრალური, ისე ადგილობრივი დონის დაწესებულებები) მედიის, სტრატეგიული კომუნიკაციების და საზოგადოებასთან ურთიერთობის მიმართულებით;
- არასამთავრობო ორგანიზაციები;
- საერთაშორისო ორგანიზაციები;
- მედიისა და კომუნიკაციის კვლევითი ცენტრები;
- კერძო სექტორი.

პროგრამის სახელწოდება	**ორგანიზაციული და პერსონალური განვითარება** **Organizational and Personal Development**
საფეხური	დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამა
პროგრამაზე დაშვების წინაპირობა	✓ მაგისტრის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხის ქონა; ✓ უცხო ენის B2 დონეზე ცოდნის დადასტურება გამოცდით ან შესაბამისი სერტიფიკატით; ✓ სავარაუდო სამეცნიერო ხელმძღვანელისა და პროგრამის ხელმძღვანელის (შესაბამისი ქვედარგის ხელმძღვანელის) თანხმობა; ✓ გასაუბრება სპეციალობაში; გასაუბრებაზე ასევე შეფასდება სადოქტორო კვლევითი პროექტის (პროსპექტუსი) გეგმა, რომელსაც წარმოადგენს დოქტორნატურაში ჩაბარების მსურველი (იხ. დანართი №1).
სწავლების ენა	ქართული
კვალიფიკაცია	სოციალურ მეცნიერებათა დოქტორი PhD in Social Sciences
სწავლების ხანგრძლივობა	6 სემესტრი
ECTS	30
სწავლების გადასახადი	1000
პროგრამის განხორციელების ადგილი	თსუ მეექვსე კორპუსი, ჭავჭავაძის 8
პროგრამის განმახორციელებელი ერთეული	
	სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტი
	ინტერდისციპლინური მიმართულება
საკონტაქტო პირი	პროგრამის ხელმძღვანელი: პროფესორი ნოდარ ბელქანია პროფესორი ფრიდრიხ გლაზლი, ზალცბურგი, ავსტრია
	პროგრამის კოორდინატორი: პროფესორი ნოდარ ბელქანია
	ტელ.: +995 577527782
	ელფოსტა: dphil@tsu.ge
პროგრამის სტრუქტურა	
კურსის სტატუსი	ECTS-მოცულობა
კვლევითი კომპონენტი	30 კრედიტი
სავალდებულო დარგობრივი	25 კრედიტი

არჩევითი დარგობრივი	5 კრედიტი
სულ	30 კრედიტი

პროგრამის მიზანი

პროგრამის მიზანია ორგანიზაციის განვითარებისა და კონსულტირების სფეროს განვითარება აკადემიური პერსონალის მომზადებით, რათა მათ ხელი შეუწყონ საქართველოში კვლევის ამ მიმართულების პრაქტიკაში დანერგვას, სამეცნიერო დონეზე აყვანას და შემდგომ წინსვლას. პროგრამა მიზნად ისახავს ორგანიზაციის განვითარების სფეროში არსებული ცოდნის გაღრმავებას, ახალი ცოდნის შექმნას და გამოცდილების დაგროვებას. საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად დოქტორანტების მაღალი რანგის მეცნიერებად, მკვლევარებად და პრაქტიკოსებად ჩამოყალიბებას.

მნიშვნელოვანია ორგანიზაციის განვითარებისა და კონსულტირების პროგრამის ფარგლებში დოქტორანტებმა, შესრულებული კვლევებით წარმოაჩინონ და საერთაშორისო ასპარეზე გაიტანონ საქართველოში მოქმედი ორგანიზაციებისთვის დამახასიათებელი ორგანიზაციული კულტურის, კონფლიქტების მოგვარების და მედიაციის თავისებურებანი საზღვარგარეთელი მეცნიერების და პრაქტიკოსების მოზიდვის მიზნით. აუცილებელია დოქტორანტებმა ხელი შეუწყონ საქართველოში ორგანიზაციის განვითარების კუთხით ჩატარებული კვლევების გავრცელებას როგორც ადგილობრივ, ასევე საერთაშორისო აკადემიურ წრეებში.

ორგანიზაციის განვითარების და კონსულტირების სადოქტორო პროგრამამ უნდა მოამზადოს უმაღლესი კვალიფიკაციის თანამედროვე პროფესიული, მომსახურეობითი და საწარმოო ორგანიზაციების განვითარების კონსულტანტები, რომლებიც კონკურენტუნარიანი იქნებიან როგორც საქართველოს, ასევე უცხოეთის შრომის ბაზარზე. აქედან გამომდინარე პროგრამის მიზნებია:

- ✓ დოქტორანტს მისცეს დარგის ფუნდამენტური ცოდნა;
- ✓ სიღრმისეულად შეასწავლოს კვლევის თანამედროვე მეთოდები, მათ შორის ინფორმაციის მიღებისა და დამუშავების მეთოდები, თანამედროვე კომპიუტერული ტექნოლოგიები;
- ✓ განუვითაროს მას დამოუკიდებლად სწავლისა და ახალი ცოდნის ათვისებისა და გათავისების, არჩეული სპეციალობის მიხედვით სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის ორგანიზებისა და წარმართვის, აგრეთვე სამეცნიერო გამოკვლევის შესრულების უნარი;
- ✓ ხელი შეეწყოს დოქტორანტს, გააცნობიეროს საკუთარი გზა მეცნიერებაში;
- ✓ გამოუმუშაოს მას წარმატებული პედაგოგიური საქმიანობისთვის აუცილებელი უნარ-ჩვევები;
- ✓ მოამზადოს იგი უმაღლეს სასწავლებლებში სწავლებისათვის.

სწავლის მეთოდები

სადოქტორო პროგრამა სავალდებულო და არჩევითი სასწავლო კურსების, სემინარებისა და კოლოკვიუმების, საერთაშორისო, რეგიონული და ადგილობრივი კონფერენციებში მონაწილეობის, გაცვლითი პროგრამების, მულტინაციონალურ საკონსულტავიო ორგანიზაცია “ტრიგონში” სტაჟირების გზით და რეცენზირებად–რეფერირებად ჟურნალებში სტატიების გამოქვეყნების და სხვა კვლევითი თუ სასწავლო აქტივობებით ხელს უწყობს და აუმჯობესებს სწავლისა და კვლევის შედეგების მიღწევის გზებს. ამისათვის

იყენებს:

- დისკუსია/დებატები;
- წიგნზე მუშაობის მეთოდი;
- დემონსტრირების მეთოდი;
- ინდუქცია, დედუქცია, ანალიზი და სინთეზი;
- წერითი მუშაობის მეთოდი;
- როლური და სიტუაციური თამაშები;
- ჯგუფური მუშაობა;
- პრეზენტაცია;

პროფესორი შეიძლება იყენებდეს ერთ ან რამდენიმე მეთოდს, ან ნებისმიერ სხვა მეთოდს კონკრეტული სასწავლო–კვლევითი ამოცანის შესასრულებლად.

შეფასების პროცედურები

დოქტორანტის ცოდნა თითოეულ სასწავლო კურსში ფასდება 100 ქულიანი სისტემით

დაუშვებელია სტუდენტის (დოქტორანტის) სემესტრული მიღწევის შეფასება მხოლოდ სემესტრის ბოლოს ჩატარებული გამოცდის მიხედვით.
სტუდენტის სემესტრის განმავლობაში გაწეული შრომის შეფასება ითვალისწინებს შუა სემესტრულ და სემესტრის დასკვნითშეფასებას.
თითოეულ საგანში საბოლოო შეფასება ხდება შემდეგი სქემით:

ქულების რაოდენობა	ნიშანი	შეფასება
91-100	A	ფრიადი
81-90	B	ძალიან კარგი
71-80	C	კარგი
61-70	D	დამაკმაყოფილებელი
51-60	E	საკმარისი
41-50	FX	ვერ ჩააბარა (დოქტორანტს მეტი მუშაობა სჭირდება და ეძლევა დამოუკიდებელი მუშაობით დამატებით გამოცდაზე გასვლის უფლება)
0-40	F	ჩაიჭრა (დოქტორანტის მიერ ჩატარებული სამუშაო არა არის საკმარისი, მას საგანი ახლიდან აქვსშესასწავლი და კრედიტების მისაღებად დისციპლინის კურსი განმეორებით უნდა მოისმინოს).

დასკვნით და დამატებით გამოცდას შორის შუალედი უნდა იყოს არა ნაკლებ 5 (ხუთი) კალენდარული დღისა.

სადისერტაციო ნაშრომის შეფასება ხდება საერთო/საუნივერსიტეტო სტანდარტის შესაბამისად.

სადისერტაციო ნაშრომის დაცვის კომისიის წევრების მიერ დისერტაციის შეფასება ხდება კონფიდენციალურად, ასქულიანისისტემით.

დისერტაციის საბოლოო შეფასებისათვის სადისერტაციო ნაშრომის დაცვის კომისიას გამოყავს ქულათა საშუალო არითმეტიკული, რომელსაც შეუფარდებს შეფასებას შემდეგი სისტემის მიხედვით:

სადისერტაციო ნაშრომის შეფასება:

ა) "summa cum laude" - "ფრიადი" – შესანიშნავი ნაშრომი – შეფასების 91-100 ქულა;
ბ) "magna cum laude" - "ძალიან კარგი" – შედეგი, რომელიც წაყენებულ მოთხოვნებს ყოველმხრივ აღემატება, შეფასების 81– 90 ქულა;გ) "cum laude - "კარგი" – შედეგი, რომელიც წაყენებულ მოთხოვნებს აღემატება, შეფასების 71– 80 ქულა;
დ) "bene" - "საშუალო" – საშუალო დონის ნაშრომი, რომელიც წაყენებულ ძირითად მოთხოვნებს აკმაყოფილებს, შეფასების 61–70 ქულა;
ე) "rite" - "დამაკმაყოფილებელი" – შედეგი, რომელიც, ხარვეზების მიუხედავად, წაყენებულ მოთხოვნებს მაინც აკმაყოფილებს, შეფასების 51– 60 ქულა;
ვ) "insufficienter"-"არადამაკმაყოფილებელი" – არადამაკმაყოფილებელი დონის ნაშრომი, რომელიც ვერ აკმაყოფილებს წაყენებულ მოთხოვნებს მასში არსებული მნიშვნელოვანი ხარვეზების გამო; შეფასების 41–50 ქულა;
ზ) "sub omni canone" - "სრულიად არადამაკმაყოფილებელი" – შედეგი, რომელიც წაყენებულ მოთხოვნებს სრულიად ვერაკმაყოფილებს, შეფასების 40 ქულა და ნაკლები.

„ა”-„ე” ქვეპუნქტებით გათვალისწინებული შეფასების (ფრიადი, ძალიან კარგი, კარგი, საშუალო და დამაკმაყოფილებელი) მიღების შემთხვევაში დოქტორანტს ენიჭება სოციალურ მეცნიერებათა დოქტორის აკადემიური ხარისხი.
მე-2 პუნქტის „ვ” ქვეპუნქტით გათვალისწინებული არადამაკმაყოფილებელი შეფასების მიღების შემთხვევაში დოქტორანტს უფლებაეძლევა ერთი წლის განმავლობაში წარადგინოს გადამუშავებული სადისერტაციო ნაშრომი;
„ზ” ქვეპუნქტით გათვალისწინებული შეფასების მიღების შემთხვევაში დოქტორანტი კარგავს იგივე სადისერტაციო ნაშრომის წარდგენის უფლებას.
უფლებას.

სწავლის შედეგები

ა) ცოდნა და გაცნობიერება; ბ) უნარები; გ) პასუხისმგებლობა და ავტონომიურობა

პროგრამის დასრულების შემდეგ კურსდამთავრებული:

- ფლობს უახლეს მიღწევებზე დამყარებულ ცოდნას და იაზრებს-აცნობიერებს მის ეკონომიკურ, სამართლებრივ და ფსიქოლოგიურ

ასპექტებს; ორგანიზაციათა სტრუქტურასა და დინამიკას, ასევე ორგანიზაციებში ადამიანური ფაქტორს და მის როლს;

- სიღრმისეულად აანალიზებს ორგანიზაციაში მიმდინარე პროცესებს რაც არსებული ცოდნის გაფართოებისა და ინოვაციური მეთოდების გამოყენების საშუალებას იძლევა (რეფერირებადი პუბლიკაციისათვის აუცილებელი სტანდარტის დონეზე);
- ფლობს არსებული ცოდნის ხელახალი გააზრებისა და ნაწილობრივ გადაფსების გზით, ცოდნის განახლებული ფარგლებისგაცნობიერების უნარს;
- დამოუკიდებლად გეგმავს ინოვაციურ კვლევას, შეიმუშავებს ახლებურ კვლევით და ანალიტიკურ მეთოდებსა და მიდგომებს, რომლებიც ახალი ცოდნის შექმნაზეა ორიენტირებული და ასახულია საერთაშორისო რეფერირებად პუბლიკაციებში;
- ფლობს ორგანიზაციის განვითარების სფეროში დამოუკიდებელი სამუშაოების ჩატარების უნარს;
- დამოუკიდებლად აანალიზებს სიტუაციას, იღებს ეფექტურ გადაწყვეტილებებს და ნერგავს ორგანიზაციისთვის აუცილებელ ინოვაციებს (ორგანიზაციის განვითარება და კონსულტირება) საქართველოში;
- ქმნის, აფასებს და აკეთებს პრეზენტაციას აკადემიურ გარემოში საჭირო ტექსტებისას (სამეცნიერო ნაშრომი, რეცენზია და სხვ.)
- ნერგავს ელექტრონული სწავლების საფუძვლებს, მეთოდოლოგიას, ტექნოლოგიებსა და პრაქტიკას კვლევა/სწავლებაში;
- აფასებს სამეცნიერო კვლევებს და კვლევის შედეგებს სათანადოდ წარმოაჩენს სხვადასხვა ტიპის აუდიტორიასთან; შეიმუშავებს სხვადასხვა მიმართულების სამეცნიერო პროექტებს ან/და ხვეწს პოტენციური პარტნიორებისა და დონორებისათვის მიმზიდველი ფორმის მისაცემად;
- შეიმუშავებს სასწავლო კურსის სილაბუსს და საგანმანათლებლო პროგრამის (კურიკულუმის) და აფასებს ბოლონიის პროცესის, ევროპული სტანდარტების, ავტორიზაციისა და აკრედიტაციის მოთხოვნების გათვალისწინებით;
- პრაქტიკულად, წარმატებით გამოიყენებს სწავლების ინტერაქტიური მეთოდებს, სწავლების თანამედროვე სტრატეგიებს, ადგენს სასწავლო-საგანმანათლებლო და კულტურულ- აღმზრდელობითი პროგრამებს/ პროექტებს და ნერგავს სტუდენტზე ორიენტირებული სწავლების მთავარ პრინციპებსა და კომპონენტებს სასწავლო პროცესში;
- დამოუკიდებულად წარმართავს სასწავლო პროცესს, ახდენს ცოდნის გაფართოებას და არსებულ ცოდნას გადასცემს სხვებს;
- წარმოაჩენს საერთაშორისო თუ ეროვნულ დონეზე ორგანიზაციის განვითარების სფეროს სამეცნიერო საზოგადოებასთან უახლესი სამეცნიერო მიღწევების გარკვევით და დასაბუთებულად;
- იცავს პროფესიული ეთიკის ნორმებს; აფასებს განსხვავებებსა და კულტურულ მრავალფეროვნებას და პატივს სცემს მას; ფლობს სხვა კულტურის წარმომადგენლებთან წარმატებული კომუნიკაციისთვის საჭიროინტერპერსონალური კომუნიკაციებს და ტოლერანტობისა და პასუხისმგებლობის გრძნობით ურთიერთობს კოლეგებთან;
- მოქმედებს სოციალური და დემოკრატიული ფასეულობების გათვალისწინებით, კრიტიკულად მიუდგეს არა მარტო სხვებს, არამედ საკუთარ თავსაც.

დასაქმების სფეროები

უმაღლესი სასწავლებლები, კოლეჯები, საჯარო და კერძო სკოლები, სკოლისგარეშე დაწესებულებები, სამეცნიერო–კვლევითი ცენტრები, სხვადასხვა პროფილის სახელმწიფო და კერძო დაწესებულებები, კომპანიები, ფონდები, ორგანიზაციები, ბიბლიოთეკები, არქივები, ლიტერატურული მუზეუმები, გამომცემლობები, მასმედია, ტურისტული კომპანიები, არასამთავრობო ორგანიზაციები და სხვ.

პროგრამის სახელწოდება	**პოლიტიკის მეცნიერება** **Political Science**
საფეხური	დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამა
პროგრამაზე დაშვების წინაპირობა	• მაგისტრის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხის ფლობა პოლიტიკის მეცნიერების ან სხვა მომიჯნავე (საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის N65/ნ ბრძანების დანართი N2-ში განსაზღვრულ 01, 02, 03 და 04 ფართო სფეროების) სფეროებში; • სავარაუდო სამეცნიერო ხელმძღვანელისა და პროგრამის ხელმძღვანელის თანხმობა; • უცხო ენის B2 დონის დამადასტურებელი სერთიფიკატის წარმოდგენა/თსუ-ს მიერ ორგანიზებული წერილობითი გამოცდის ჩაბარება (წერითი გამოცდის წინაპირობა); • წერითი გამოცდა სპეციალობაში (გასაუბრების წინაპირობა) - (სპეციალობის წერითი გამოცდა არის 100 ქულიანი და წარმოადგენს აპლიკანტის საბოლოო შეფასების 50 %-ს); • სადოქტორო - კვლევითი პროექტის გეგმის (პროსპექტუსის) წარმოდგენა; • გასაუბრება სპეციალობაში (მათ შორის სადოქტორო კვლევითი პროექტის – პროსპექტურის შესახებ), რომელიც არის 100 ქულიანი და წარმოადგენს აპლიკანტის საბოლოო შეფასების 50 %-ს.
სწავლების ენა	ქართული
კვალიფიკაცია	პოლიტიკის მეცნიერების დოქტორი PhD in Political Science
6	8 სემესტრი
ECTS	30
სწავლების გადასახადი	1000
პროგრამის განხორციელების ადგილი	თსუ მეექვსე კორპუსი, ჭავჭავაძის 8
პროგრამის განმახორციელებელი ერთეული	
	სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტი
	პოლიტიკის მეცნიერების მიმართულება
საკონტაქტო პირი	პროგრამის ხელმძღვანელი: მალხაზ მაცაბერიძე, პოლიტიკის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი
	პროგრამის კოორდინატორი: მალხაზ მაცაბერიძე, პოლიტიკის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი
	ტელ.: +995 599 14 51 69
	ელფოსტა: dphil@tsu.ge
პროგრამის სტრუქტურა	
კურსის სტატუსი	ECTS-მოცულობა
კვლევითი კომპონენტი	30 კრედიტი

სავალდებულო დარგობრივი	25 კრედიტი
არჩევითი დარგობრივი	5 კრედიტი
სულ	30 კრედიტი

პროგრამის მიზანი

პოლიტიკის მეცნიერების დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამის მიზანია:

- მოამზადოს დარგის უახლეს მიღწევებზე დამყარებული ცოდნისა და მაღალი დარგობრივი კომპეტენციის მქონე, მოტივირებული და პასუხისმგებლიანი მკვლევარი, რომელსაც შეუძლია ახალი ცოდნის შექმნის მიზნითა და ინოვაციური მიდგომების გამოყენებით, დაგეგმოს და განახორციელოს კვლევითი სამუშაოები;
- ხელი შეუწყოს პოლიტიკასა და მის მომიჯნავე სფეროებში სამეცნიერო-კვლევითი სამუშაოების მაღალკვალიფიკაციურ დონეზე წარმართვას, ახალი ცოდნის შექმნასა და გავრცელებას;
- გამოუმუშაოს როგორც კვლევის მიგნებების აკადემიური და ფართო საზოგადოების წინაშე ეფექტურად წარდგენის, ისე გუნდური მუშაობისთვის აუცილებელი საკომუნიკაციო და სოციალური უნარები;
- წვლილი შეიტანოს თანამედროვე პოლიტიკის ანალიზისა და საზოგადოების წინაშე წამოჭრილი საზოგადოებრივი პრობლემატიკის გადაჭრის პროცესში და შესაბამისად, პოლიტიკის მეცნიერების დარგის განვითარებაში;
- მოამზადოს კურსდამთავრებული პედაგოგიური მოღვაწეობისათვის, შესძინოს მას უნარები, გადასცეს ახალი ცოდნა დარგში და კვლევის სიახლეები ჩააშენოს სასწავლო პროცესში.

სწავლის მეთოდები

- ვერბალური (მონოლოგი, დიალოგი);
- დემონსტრირების მეთოდი;
- ჯგუფური მუშაობის მეთოდი;
- ინდუქციური და დედუქციური მეთოდები;
- დისკუსია/დებატები;
- შემთხვევის შესწავლა;
- პრობლემაზე დაფუძნებული სწავლება;
- ელექტრონული სწავლების მეთოდები.

შეფასების პროცედურები

დაუშვებელია სტუდენტის სემესტრული მიღწევის შეფასება მხოლოდ სემესტრის ბოლოს ჩატარებული გამოცდის მიხედვით.

სტუდენტის სემესტრის განმავლობაში გაწეული შრომის შეფასება ითვალისწინებს:

ა) მისი დამოუკიდებელი მუშაობის შეფასებას;

ბ) შუა სემესტრულ რეიტინგულ შეფასებას;

გ) სემესტრის დასკვნით შეფასებას. **შეფასებათა სისტემა უშვებს ხუთი სახის დადებით შეფასებას:** ა) **(A) ფრიადი** –შეფასების 91-100 ქულა; ბ) **(B) ძალიან კარგი** – მაქსიმალური შეფასების 81-90 ქულა; გ) **(C) კარგი** – მაქსიმალური შეფასების 71-80 ქულა; დ) **(D) დამაკმაყოფილებელი** – მაქსიმალური შეფასების 61-70 ქულა; ე) **(E) საკმარისი** – მაქსიმალური შეფასების 51-60 ქულა; **არსებობს ორი სახის უარყოფითი შეფასება:** ვ) **(FX) ვერ ჩააბარა** – მაქსიმალური შეფასების 41-50 ქულა, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტს ჩასაბარებლად მეტი მუშაობა სჭირდება და ეძლევა დამოუკიდებელი მუშაობით ხელახლა გამოცდაზე გასვლის უფლება; ზ) **(F) ჩაიჭრა** – მაქსიმალური შეფასების 40 ქულა და ნაკლები, სტუდენტს მნიშვნელოვანი სამუშაო აქვს ჩასატარებელი, ანუ საგანი ახლიდან აქვს შესასწავლი. დასკვნით და დამატებით გამოცდას შორის შუალედი უნდა იყოს არანაკლებ 5 (ხუთი) კალენდარული დღისა. სადისერტაციო ნაშრომის დაცვის კომისიის წევრების მიერ დისერტაციის შეფასება ხდება კონფიდენციალურად, **ასქულიანი** სისტემით. დისერტაციის საბოლოო შეფასებისათვის სადისერტაციო ნაშრომის დაცვის კომისიას გამოყავს ქულათა საშუალო არითმეტიკული, რომელსაც შეუფარდებს შეფასებას შემდეგი სისტემის მიხედვით: **სადისერტაციო ნაშრომის შეფასება:** **ა)** "summa cum laude" - "ფრიადი" – შესანიშნავი ნაშრომი – შეფასების 91-100 ქულა; **ბ)** "magna cum laude" - "ძალიან კარგი" – შედეგი, რომელიც წაყენებულ მოთხოვნებს ყოველმხრივ აღემატება, შეფასების 81– 90 ქულა; **გ)** "cum laude - "კარგი" – შედეგი, რომელიც წაყენებულ მოთხოვნებს აღემატება, შეფასების 71– 80 ქულა; **დ)** "bene" - "საშუალო" – საშუალო დონის ნაშრომი, რომელიც წაყენებულ ძირითად მოთხოვნებს აკმაყოფილებს, შეფასების 61–70 ქულა; **ე)** "rite" - "დამაკმაყოფილებელი" – შედეგი, რომელიც, ხარვეზების მიუხედავად, წაყენებულ მოთხოვნებს მაინც აკმაყოფილებს, შეფასების 51– 60 ქულა; **ვ)** "insufficienter"-"არადამაკმაყოფილებელი" – არადამაკმაყოფილებელი დონის ნაშრომი, რომელიც ვერ აკმაყოფილებს წაყენებულ მოთხოვნებს მასში არსებული მნიშვნელოვანი ხარვეზების გამო; შეფასების 41–50 ქულა; **ზ)** "sub omni canone" - "სრულიად არადამაკმაყოფილებელი" – შედეგი, რომელიც წაყენებულ მოთხოვნებს სრულიად ვერ აკმაყოფილებს, შეფასების 40 ქულა და ნაკლები.
სწავლის შედეგები
დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამის დასრულების შემდეგ კურსდამთავრებული:

ცოდნა და გაცნობიერება

- სისტემურად და კრიტიკულად აფასებს დარგში არსებულს უახლეს თეორიებსა და მიდგომებს და მათ ინტერდისციპლინურ ხასიათს;
- არგუმენტირებულად აყალიბებს არსებული ცოდნის გაფართოების აუცილებლობის მნიშვნელობას, პოლიტიკის მეცნიერებისა და მისი ცალკეული სუბ-დისციპლინების განვითარების პროცესში;
- სიღმისეულად ავითარებს პოლიტიკის მეცნიერების სუბ-დისციპლინებში არსებულ ცოდნას ინოვაციური მიდგომების გამოყენების გზით.

უნარები

- კრიტიკულად აანალიზებს და აფასებს პოლიტიკის მეცნიერების დარგში არსებულ დარგობრივ ლიტერატურასა და კომპლექსურ, წინააღმდეგობრივ იდეებს;
- მკაფიოდ აყალიბებს პოლიტიკის მეცნიერების დარგში აქტუალურ საკვლევ საკითხებს, აორგანიზებს კვლევით სამუშაოებს, იძიებს და განმარტავს რაოდენობრივ და თვისებრივ მონაცემებს, ამზადებს კვლევის ანგარიშს და აგებს დარგის უახლეს მიღწევებზე დაფუძნებულ ცოდნას;
- ძირეულად აფასებს და აჯამებს პოლიტიკის მეცნიერების დარგში არსებულ დარგობრივ/აკადემიურ ნაშრომებს, მათ შორის ადგილობრივ და საერთაშორისო სემინარებსა და კონფერენციებში მონაწილეობისას;
- ინოვაციური მიდგომების დემონსტრირების გზით გადასცემს ცოდნას სტუდენტებს და ფართო საზოგადოებას.

პასუხისმგებლობა და ავტონომიურობა

- პოლიტიკის მეცნიერების დარგის აქტუალურ საკვლევ საკითხზე დამოუკიდებლად, ავტონომიურობის მაღალი ხარისხით, აკადემიური და პროფესიული კეთილსინდისიერების პრინციპების დაცვით, გეგმავს და ახორციელებს კვლევით პროექტებს;
- აკადემიური/პროფესიული საქმიანობისას წარმოადგენს ორიგინალურ მეთოდებს/მიდგომებს და საკუთარი წვლილი შეაქვს პოლიტიკის მეცნიერების დარგის განვითარებაში.

დასაქმების სფეროები

- საგანმანათლებლო დაწესებულებები;
- საჯარო სექტორი (როგორც ცენტრალური, ისე ადგილობრივი დონის დაწესებულებები);
- არასამთავრობო ორგანიზაციები;
- საერთაშორისო ორგანიზაციები;
- კვლევითი ცენტრები;
- კერძო სექტორი.

პროგრამის სახელწოდება	საერთაშორისო ურთიერთობები International Relations
საფეხური	დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამა

პროგრამაზე დაშვების წინაპირობა	• ავტორიზებული უმაღლესი საგანამანათლებლო დაწესებულების მაგისტრის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხი სოციალურ ან/და ჰუმანიტარულ მეცნიერებებში. *მაგისტრის ხარისხი საერთაშორისო ურთიერთობებში ან/და დიპლომატიასა და საერთაშორისო პოლიტიკაში პროგრამისთვის პრიორიტეტულია;* • ინგლისური ენის ცოდნა C1 დონეზე (დადასტურება გამოცდით ან შესაბამისი სერთიფიკატით). აპლიკანტებს, რომლებსაც განათლება მიღებული აქვთ საზღვარგარეთ (გავლილი აქვთ ინგლისურენოვანი პროგრამები) გამოცდის ჩაბარება ან სერთიფიკატის წარმოდგენა არ მოეთხოვებათ; • სამოტივაციო წერილი (აპლიკანტებმა უნდა აღწერონ საკუთარი აკადემიური და პროფესიული გამოცდილება, განიხილონ კარიერასთან დაკავშირებული სამომავლო მიზნები და ნათლად ახსნან თუ რატომ სურთ აღნიშნულ პროგრამაზე სწავლა. მათ ასევე უნდა მოიხსენიონ საკითხი, რომლის კვლევაც სურთ); • წერილობითი ნამუშევრის ნიმუში (კანდიდატებმა უნდა წარმოადგინონ ათგვერდიანი ნიმუში. განხილული საკითხები დაკავშირებული უნდა იყოს საერთაშორისო ურთიერთობებთან); • წიგნის ერთგვერდიანი მიმოხილვა (აპლიკანტებმა უნდა მიმოიხილონ ნებისმიერი წიგნი საერთაშორისო ურთიერთობებიდან, რომელიც მათ ბოლო დროს წაიკითხეს. მათ უნდა აღნიშნონ რას ეხებოდა წიგნი, რა ისწავლეს მისგან და რატომ მოეწონათ ან არ მოეწონათ წიგნი); • სავარაუდო სამეცნიერო ხელმძღვანელისა და პროგრამის ხელმძღვანელის თანხმობა; • სადოქტორო - კვლევითი პროექტის გეგმა (პროსპექტუსი); • გასაუბრება სპეციალობაში (მათ შორის სადოქტორო კვლევითი პროექტზე - პროსპექტუსზე). *გასაუბრება სპეციალობაში არის 100 ქულიანი და წარმოადგენს აპლიკანტის საბოლოო შეფასების 100%-ს; საიდანაც 40% არის პროსპექტუსის წონა, 20% წარმოდგენილი სავალდებულო დოკუმენტების შეფასების, ხოლო 40% კი - კონკრეტულად გასაუბრების, საიდანაც ვლინდება თუ რა ცოდნისა და უნარების მატარებელია აპლიკანტი.*
სწავლების ენა	ქართული
კვალიფიკაცია	საერთაშორისო ურთიერთობების დოქტორი PhD in International Relations
სწავლების ხანგრძლივობა	6 სემესტრი
ECTS	40
სწავლების გადასახადი	1000
პროგრამის განხორციელების ადგილი	თსუ მეექვსე კორპუსი, ჭავჭავაძის 8
პროგრამის განმახორციელებელი ერთეული	
	სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტი

	საერთაშორისო ურთიერთობის მიმართულება
საკონტაქტო პირი	პროგრამის ხელმძღვანელი: ასოცირებული პროფესორი კონსტანტინე შუბითიძე
	პროგრამის კოორდინატორი: ასოცირებული პროფესორი კონსტანტინე შუბითიძე
	ტელ.: +(995) 558 20 83 10
	ელფოსტა: dphil@tsu.ge
	პროგრამის სტრუქტურა
კურსის სტატუსი	ECTS-მოცულობა
კვლევითი კომპონენტი	40 კრედიტი
სავალდებულო დარგობრივი	25 კრედიტი
არჩევითი	15 კრედიტი
სულ	40 კრედიტი

პროგრამის მიზანი

დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამის მიზნებია:

- მოამზადოს დარგის უახლოეს მიღწევებზე დაყრდნობით მაღალი დონის მკვლევრები და პრაქტიკოსები, რომლებიც ფლობენ საერთაშორისო პოლიტიკის თეორიულ მიდგომებს, აგრეთვე პოლიტიკის, ეკონომიკის, სამართლის, სოციოლოგიის სფეროში თეორიულ ნააზრევს და თანამედროვე საერთაშორისო პოლიტიკურ პროცესებს;
- განუვითაროს დოქტორანტებს სამეცნიერო კვლევისთვის აუცილებელი უნარები, რომლებიც წვლილს შეიტანენ საერთაშორისო ურთიერთობების როგორც მეცნიერების დარგის განვითარებაში, შეძლებენ საერთაშორისო ურთიერთობებში თეორიული ცოდნის გაღრმავებას, სრულყოფასა და ახალი ცოდნის გენერირებას;
- მოამზადოს კურსდამთავრებულები აქტიური პედაგოგიური მოღვაწეობისათვის, რომლებიც აქტიურად ჩაერთვებიან სწავლების დაბალ საფეხურზე მყოფი სტუდენტების (ბაკალავრიატის, მაგისტრატურის) სასწავლო პროცესში და დამოუკიდებლად შეძლებენ ახალი თაობისთვის შესაბამისი ცოდნის გადაცემას და კვლევითი უნარების განვითარებას.

სწავლის მეთოდები

შედეგების მისაღწევად გამოყენებული იქნება სწავლებისა და სწავლის შემდეგი მეთოდები:

1. ვერბალური მეთოდი;
2. წერითი მუშაობის მეთოდი, რომელიც გულისხმობს შემდეგი სახის აქტივობებს: ამონაწერებისა და ჩანაწერების გაკეთება, მასალის დაკონსპექტება, თეზისების შედგენა, რეფერატის, ან ესეს შესრულება, და ა.შ.
3. პრაქტიკული მეთოდები, რომლებიც სტუდენტს პრაქტიკულ უნარ-ჩვევებს ჩამოუყალიბებს: სასწავლო და პედაგოგიური პრაქტიკა, საველე მუშაობა და სხვ.

სწავლების პროცესში გამოყენებული იქნება, აგრეთვე, ისეთი მეთოდები, როგორიცაა:

1. დისკუსია, დებატები ჯგუფური მუშაობა (cooperative/collaborative)

2. პრობლემაზე დაფუძნებული სწავლება (PBL)
3. შემთხვევის ანალიზი
4. გონებრივი იერიში (Brain storming)
5. ქმედებაზე ორიენტირებული სწავლება

შეფასების პროცედურები

დაუშვებელია სტუდენტის (დოქტორანტის) სემესტრული მიღწევის შეფასება მხოლოდ სემესტრის ბოლოს ჩატარებული გამოცდის მიხედვით.

სტუდენტის სემესტრის განმავლობაში გაწეული შრომის შეფასება ითვალისწინებს:

ა) მისი დამოუკიდებელი მუშაობის შეფასებას;
ბ) შუა სემესტრულ რეიტინგულ შეფასებას;
გ) სემესტრის დასკვნით შეფასებას.

შეფასებათა სისტემა უშვებს ხუთი სახის დადებით შეფასებას:

ა) **(A) ფრიადი** –შეფასების 91-100 ქულა;
ბ) **(B) ძალიან კარგი** – მაქსიმალური შეფასების 81-90 ქულა;
გ) **(C) კარგი** – მაქსიმალური შეფასების 71-80 ქულა;
დ) **(D) დამაკმაყოფილებელი** – მაქსიმალური შეფასების 61-70 ქულა;
ე) **(E) საკმარისი** – მაქსიმალური შეფასების 51-60 ქულა;

არსებობს ორი სახის უარყოფითი შეფასება:

ვ) **(FX) ვერ ჩააბარა** – მაქსიმალური შეფასების 41-50 ქულა, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტს ჩასაბარებლად მეტი მუშაობა სჭირდება და ეძლევა დამოუკიდებელი მუშაობით ხელახლა გამოცდაზე გასვლის უფლება;
ზ) **(F) ჩაიჭრა** – მაქსიმალური შეფასების 40 ქულა და ნაკლები, სტუდენტს მნიშვნელოვანი სამუშაო აქვს ჩასატარებელი, ანუ საგანი ახლიდან აქვს შესასწავლი.

დასკვნით და დამატებით გამოცდას შორის შუალედი უნდა იყოს არა ნაკლებ 5 (ხუთი) კალენდარული დღისა.

სადისერტაციო ნაშრომის დაცვის კომისიის წევრების მიერ დისერტაციის შეფასება ხდება კონფიდენციალურად, **100 ქულიანი** სისტემით.

დისერტაციის საბოლოო შეფასებისათვის სადისერტაციო ნაშრომის დაცვის კომისიას გამოყავს ქულათა საშუალო არითმეტიკული, რომელსაც შეუფარდებს შეფასებას შემდეგი სისტემის მიხედვით:

სადისერტაციო ნაშრომის შეფასება:

ა) "summa cum laude" - "ფრიადი" – შესანიშნავი ნაშრომი – შეფასების 91-100 ქულა;
ბ) "magna cum laude" - "ძალიან კარგი" – შედეგი, რომელიც წაყენებულ მოთხოვნებს ყოველმხრივ აღემატება, შეფასების 81– 90 ქულა;
გ) "cum laude - "კარგი" – შედეგი, რომელიც წაყენებულ მოთხოვნებს აღემატება, შეფასების 71– 80 ქულა;

დ) "bene" - "საშუალო" – საშუალო დონის ნაშრომი, რომელიც წაყენებულ ძირითად მოთხოვნებს აკმაყოფილებს, შეფასების 61–70 ქულა;
ე)"rite" - "დამაკმაყოფილებელი" – შედეგი, რომელიც, ხარვეზების მიუხედავად, წაყენებულ მოთხოვნებს მაინც აკმაყოფილებს, შეფასების 51– 60 ქულა;
ვ)"insufficienter"-"არადამაკმაყოფილებელი" – არადამაკმაყოფილებელი დონის ნაშრომი, რომელიც ვერ აკმაყოფილებს წაყენებულ მოთხოვნებს მასში არსებული მნიშვნელოვანი ხარვეზების გამო; შეფასების 41–50 ქულა;
ზ)"sub omni canone" - "სრულიად არადამაკმაყოფილებელი" – შედეგი, რომელიც წაყენებულ მოთხოვნებს სრულიად ვერ აკმაყოფილებს, შეფასების 40 ქულა და ნაკლები.

სწავლის შედეგები

ა) ცოდნა და გაცნობიერება; ბ) უნარი; გ) პასუხისმგებლობა და ავტონომიურობა

დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამის დასრულების შემდეგ კურსდამთავრებული:

1. კრიტიკულად აფასებს საერთაშორისო ურთიერთობების კლასიკურ და თანამედროვე თეორიებს. სიღრმისეულად იაზრებს და გამოიყენებს მათ ძირითად პოსტულატებს;
2. აგენერირებს დისციპლინაში ახალ ცოდნას, ასინთეზირებს და აყალიბებს უახლესი დარგობრივი კვლევის მეთოდების გამოყენებით, ორიგინალურ შეხედულებებს ან/და მეცნიერულ მოსაზრებას;
3. დამოუკიდებლად ატარებს ინოვაციურ კვლევას საერთაშორისო და საგარეო პოლიტიკის მიმართულებით;
4. დამოუკიდებლად ასრულებს ანალიტიკურ და პროფესიულ სამუშაოს სახელმწიფო და დიპლომატიურ სამსახურში, საზოგადოებრივ სექტორში და საერთაშორისო ორგანიზაციებში და ასწავლის უმაღლეს სასწავლებლებში დისციპლინას უახლესი მეთოდოლოგიების გამოყენებით;
5. საერთაშორისო ურთიერთობების სფეროში სათანადო კვლევის დიზაინისა და მეთოდოლოგიის გამოყენებით დამოუკიდებლად გეგმავს, ახორციელებს აკადემიურ კვლევას და მიღებულ მონაცემებს აანალიზებს კრიტიკულად;
6. აქვეყნებს სამეცნიერო ნაშრომის სახით საერთაშორისო რეფერირებულ ჟურნალებში დისციპლინაში განხორციელებულ კვლევას;
7. ამზადებს ახალ სასწავლო სალექციო კურსს და ახორციელებს სწავლებას უახლესი მეთოდოლოგიების გამოყენებით;
8. კრიტიკულად აფასებს საკვლევ საკითხთან დაკავშირებულ მიდგომებს, წარმოიდგენს თეორიულ ცოდნაზე და კვლევის მეთოდოლოგიურ უნარებზე დაყრდნობით საზოგადოების წინაშე მდგარი პრობლემების გადაწყვეტის გზებსა და საშუალებებს;
9. საკუთარი მოსაზრებებისა და კვლევის დასკვნების სათანადო ფორმით მიწოდება საზოგადოებისა და სამეცნიერო წრეებისთვის;
10. სამეცნიერო ეთიკის დაცვით, აკადემიური პასუხისმგებლობით, პლაგიატის გამორიცხვით, პატივს სცემს სამეცნიერო ღირებულებებს და ითავისებს კვლევის ობიექტის მიმართ პასუხისმგებლობის გრძნობას.

დასაქმების სფეროები

წინამდებარე დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამის კურსდამთავრებულები შეძლებენ დაიკავონ აკადემიური პერსონალის თანამდებობები (ასისტენტი, ასოცირებული, ან სრული პროფესორი) უმაღლეს სასწავლებლებში და წარმართონ სწავლება საერთაშორისო ურთიერთობების, ან პოლიტიკური მეცნიერების პროგრამებში სამივე საფეხურზე: ბაკალავრიატში, მაგისტრატურასა და დოქტორანტურაში. მათ აგრეთვე შეეძლებათ იმუშაონ უნივერსიტეტში ადმინისტრაციულ თანამდებობებზეც. კურსდამთავრებულებს შეეძლებათ გაწიონ საერთაშორისო ურთიერთობებში კვალიფიციური ექსპერტის სამუშაო როგორც ქვეყნის შიგნით, ასევე საერთაშორისო დონეზე და იმუშაონ სამთავრობო, ან არასამთავრობო ორგანიზაციებში, დაგეგმონ და განახორციელონ მაღალი ხარისხის დამოუკიდებელი სამეცნიერო კვლევა და შეაფასონ სხვა მეცნიერებების მიერ ჩატარებული კვლევები.

პროგრამის სახელწოდება	
	საზოგადოებრივი გეოგრაფია **Human Geography**
საფეხური	დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამა
პროგრამაზე დაშვების წინაპირობა	• მაგისტრის ხარისხის ან მასთან გათანაბრებული დიპლომის ფლობა საზოგადოებრივ გეოგრაფიაში ან სხვა სპეციალობაში; • უცხოური ენის ცოდნა მინიმუმ B2 დონეზე, ცოდნის დადასტურება გამოცდით ან შესაბამისი სერტიფიკატით; • სავარაუდო სამეცნიერო ხელმძღვანელისა და პროგრამის ხელმძღვანელის თანხმობა; • სადოქტორო - კვლევითი პროექტის გეგმის (პროსპექტუსის) წარმოდგენა; • გასაუბრება სპეციალობაში (მათ შორის სადოქტორო კვლევითი პროექტის – პროსპექტურის შესახებ).
სწავლების ენა	ქართული
კვალიფიკაცია	საზოგადოებრივი გეოგრაფიის დოქტორი PhD in Human Geography
სწავლების ხანგრძლივობა	6 სემესტრი
ECTS	30
სწავლების გადასახადი	1000
პროგრამის განხორციელების ადგილი	თსუ მეექვსე კორპუსი, ჭავჭავაძის 8
პროგრამის განმახორციელებელი ერთეული	
	სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტი
	საზოგადოებრივი გეოგრაფიის მიმართულება
საკონტაქტო პირი	პროგრამის ხელმძღვანელი: ნინო პავლიაშვილი, გეოგრაფიის დოქტორი, ასოცირებული პროფესორი
	პროგრამის კოორდინატორი: ნინო პავლიაშვილი, გეოგრაფიის დოქტორი, ასოცირებული პროფესორი
	ტელ.: (+995) 599 97 01 42
	ელფოსტა: dphil@tsu.ge
პროგრამის სტრუქტურა	
კურსის სტატუსი	ECTS-მოცულობა
კვლევითიო კომპონენტი	30 კრედიტი
სავალდებულო დარგობრივი	25 კრედიტი

არჩევითი დარგობრივი	5 კრედიტი
სულ	30 კრედიტი

პროგრამის მიზანი

დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამის მიზანია:

- მოამზადოს მაღალკვალიფიციური, საერთაშორისო აკადემიურ და კვლევით ბაზარზე კონკურენტუნარიანი სპეციალისტი, რომელსაც ხელეწიფება პრაქტიკულ სფეროში დამოუკიდებელი მუშაობა და კოლექტიური საქმიანობის წარმართვა;
- წვლილი შეიტანოს გეოგრაფიული მეცნიერების განვითარებასა და მომავალი თაობის სპეციალისტთა აღზრდაში;
- შექმნას და გავრცელოს ახალი ცოდნა და დანერგოს როგორც დარგობრივ კვლევებში, ისე სწავლა-სწავლების პროცესში და საზოგადოებრივ-პოლიტიკური სფეროების განვითარებაში;
- კურსდამთავრებულმა შეძლოს საქმიანობის წარმატებით წარმართვა სახელმწიფო დაწესებულებებში, საერთაშორისო ორგანიზაციებში, არასამთავრობო სტრუქტურებში და კერძო სექტორში, რომლებიც სივრცითი/გარემოს დაგეგმვისა და ანალიზის სფეროში მოქმედებენ;
- მოამზადოს კურსდამთავრებული პედაგოგიური მოღვაწეობისათვის, შესძინოს მას უნარ-ჩვევები, რათა შეძლოს საგანმანათლებლო საქმიანობის ეფექტურად განხორციელება.

სწავლის მეთოდები

- ვერბალური;
- წერითი მუშაობის;
- დემონსტრირების;
- პრაქტიკული;
- შემთხვევის ანალიზი;
- ჯგუფური მუშაობის;
- თანამშრომლობითი სწავლება;
- ინდუქციური;
- დედუქციური;
- ელექტრონული სწავლების (e-learning) მეთოდები.

პედაგოგი, კონკრეტული სასწავლო-კვლევითი ამოცანის შესასრულებლად, შეიძლება იყენებდეს ერთ ან რამდენიმე მეთოდს.

შეფასების პროცედურები

დაუშვებელია სტუდენტის (დოქტორანტის) სემესტრული მიღწევის შეფასება მხოლოდ სემესტრის ბოლოს ჩატარებული გამოცდის მიხედვით.

სტუდენტის სემესტრის განმავლობაში გაწეული შრომის შეფასება ითვალისწინებს:

ა) მისი დამოუკიდებელი მუშაობის შეფასებას;
ბ) შუა სემესტრულ რეიტინგულ შეფასებას;
გ) სემესტრის დასკვნით შეფასებას.

შეფასებათა სისტემა უშვებს ხუთი სახის დადებით შეფასებას:

ა) **(A) ფრიადი** –შეფასების 91-100 ქულა;

ბ) **(B) ძალიან კარგი** – მაქსიმალური შეფასების 81-90 ქულა;

გ) **(C) კარგი** – მაქსიმალური შეფასების 71-80 ქულა;

დ) **(D) დამაკმაყოფილებელი** – მაქსიმალური შეფასების 61-70 ქულა;

ე) **(E) საკმარისი** – მაქსიმალური შეფასების 51-60 ქულა;

არსებობს ორი სახის უარყოფითი შეფასება:

ვ) **(FX) ვერ ჩააბარა** – მაქსიმალური შეფასების 41-50 ქულა, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტს ჩასაბარებლად მეტი მუშაობა სჭირდება და ეძლევა დამოუკიდებელი მუშაობით ხელახლა გამოცდაზე გასვლის უფლება;

ზ) **(F) ჩაიჭრა** – მაქსიმალური შეფასების 40 ქულა და ნაკლები, სტუდენტს მნიშვნელოვანი სამუშაო აქვს ჩასატარებელი, ანუ საგანი ახლიდან აქვს შესასწავლი.

დასკვნით და დამატებით გამოცდას შორის შუალედი უნდა იყოს არა ნაკლებ 5 (ხუთი) კალენდარული დღისა.

სადისერტაციო ნაშრომის დაცვის კომისიის წევრების მიერ დისერტაციის შეფასება ხდება კონფიდენციალურად, ასქულიანი სისტემით.

დისერტაციის საბოლოო შეფასებისათვის სადისერტაციო ნაშრომის დაცვის კომისიას გამოყავს ქულათა საშუალო არითმეტიკული, რომელსაც შეუფარდებს შეფასებას შემდეგი სისტემის მიხედვით:

სადისერტაციო ნაშრომის შეფასება:

ა) "summa cum laude" - "ფრიადი" – შესანიშნავი ნაშრომი – შეფასების 91-100 ქულა;

ბ) "magna cum laude" - "ძალიან კარგი" – შედეგი, რომელიც წაყენებულ მოთხოვნებს ყოველმხრივ აღემატება, შეფასების 81– 90 ქულა;

გ) "cum laude - "კარგი" – შედეგი, რომელიც წაყენებულ მოთხოვნებს აღემატება, შეფასების 71– 80 ქულა;

დ) "bene" - "საშუალო" – საშუალო დონის ნაშრომი, რომელიც წაყენებულ ძირითად მოთხოვნებს აკმაყოფილებს, შეფასების 61–70 ქულა;

ე) "rite" - "დამაკმაყოფილებელი" – შედეგი, რომელიც, ხარვეზების მიუხედავად, წაყენებულ მოთხოვნებს მაინც აკმაყოფილებს, შეფასების 51– 60 ქულა;

ვ) "insufficienter"-"არადამაკმაყოფილებელი" – არადამაკმაყოფილებელი დონის ნაშრომი, რომელიც ვერ აკმაყოფილებს წაყენებულ მოთხოვნებს მასში არსებული მნიშვნელოვანი ხარვეზების გამო; შეფასების 41–50 ქულა;

ზ) "sub omni canone" - "სრულიად არადამაკმაყოფილებელი" – შედეგი, რომელიც წაყენებულ მოთხოვნებს სრულიად ვერ აკმაყოფილებს, შეფასების 40 ქულა და ნაკლები.

სწავლის შედეგები

დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამის დასრულების შემდეგ, კურსდამთავრებული:

ცოდნა და გაცნობიერება

1. კრიტიკულად და სიღმისეულად იაზრებს თანამედროვე გეოგრაფიულ კონცეფციებსა და პარადიგმებს, რაც ინოვაციური მეთოდების გამოყენების საშუალებას იძლევა;
2. კრიტიკულად აანალიზებს და აფასებს სოციალურ-ეკონომიკური და პოლიტიკური პროცესების რთულ სივრცით-დროით ასპექტებს;
3. განსაზღვრავს სამეცნიერო კვლევის თანამედროვე და ტრადიციული მეთოდების გამოყენების მიზანშეწონილობას კონკრეტული მიზნის მისაღწევად და ამოცანების გადასაწყვეტად.

უნარი

4. ხსნის და ასწავლის საზოგადოებრივ-გეოგრაფიული თეორიების, კონცეფციების, პროცესებისა და მოვლენების ძირითად მახასიათებლებს და სწავლების სხვადასხვა საფეხურზე წარმართავს სფეროს შესაბამის სასწავლო კურსებს;
5. თავისუფლად ურთიერთობს, წარმართავს დისკუსიებს, ახდენს პრობლემური თემების მიუკერძოებელ და კრიტიკულ ანალიზს ადგილობრივ და საერთაშორისო საზოგადოებასთან გეოგრაფიის თემატურ საკითხებზე როგორც მშობლიურ, ისე უცხოურ ენაზე;
6. დამოუკიდებლად გეგმვას კვლევას და ყველა სტანდარტის დაცვით მაღალპროფესიონალურ დონეზე წარმართავს სამეცნიერო საქმიანობას;
7. ქმნის სივრცითი/გარემოს დაგეგმვისა და სფეროსთან დაკავშირებულ სხვა თემატურ პროექტებსა თუ შეთავაზებებს და შეიმუშავებს ზოგად-სამეცნიერო რეკომენდაციებსა და დასკვნებს.

პასუხისმგებლობა და ავტონომიურობა

8. იცავს აკადემიური კეთილსინდისიერების პრინციპებს (პროფესიული ეთიკა, კულტურული ტოლერანტობა, თანამშრობლობა, სამართლიანობა, ადამიანის უფლებების პატივისცემა) და ხელს უწყობს დარგში პროფესიული ღირებულებების (სანდოობა, პატიოსნება, რელევანტური კანონებისა და მიღებული სტანდარტების დაცვა) დამკვიდრებასა და განმტკიცებას დამოუკიდებლად დაგეგმილი პროექტის განხორციელების პროცესში;
9. ავლენს ინოვაციურობასა და პასუხისმგებლობას სამეცნიერო ნაშრომის დამოუკიდებლად მომზადების პროცესში;
10. უძღვება საკუთარ და სხვათა პროფესიულ განვითარებას და ამ მიზნით ხელმძღვანელობს დარგობრივ გუნდს ინტერდისციპლინურ/ ინტერკულტურულ გარემოში.

დასაქმების სფეროები

- უმაღლესი საგანმანათლებლო ან კვლევითი დაწესებულებები;
- სახელმწიფო, საზოგადოებრივ, კერძო და საერთაშორისო სტრუქტურებში, რომლებიც საქმიანობენ შემდეგი მიმართულებებით: ტურიზმი და რეკრეაცია; ურბანული სფერო; მიწის მენეჯმენტი; პოლიტიკა, კონფლიქტები, დიპლომატია; სოციალური და კულტურის სფერო; ეკონომიკა და განვითარება; მოსახლეობის საკითხები; სივრცითი დაგეგმარება; ექსპერტიზა ქვეყნებისა და რეგიონების შესახებ.

პროგრამის სახელწოდება	სოციალური მუშაობა Social Work
საფეხური	დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამა
პროგრამაზე დაშვების წინაპირობა	• მაგისტრის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხის ფლობა „სოციალურ მუშაობაში“ ან ჯანდაცვასა და კეთილდღეობაში, ასევე სოციალურ მეცნიერებაში; ან არანაკლებ სამწლიანი გამოცდილება სოციალური მუშაობის სფეროში; • უცხოური ენის (ინგლისური ენა) ცოდნა მინიმუმ B2 დონეზე (დადასტურება გამოცდით ან შესაბამისი სერთიფიკატით); • სავარაუდო სამეცნიერო ხელმძღვანელისა და პროგრამის ხელმძღვანელის თანხმობა; • სადოქტორო - კვლევითი პროექტის გეგმის (პროსპექტუსის) წარმოდგენა; • გასაუბრება სპეციალობაში (მათ შორის სადოქტორო კვლევითი პროექტზე - პროსპექტუსზე). (იხ. დანართი N1). გასაუბრება სპეციალობაში არის 100 ქულიანი და წარმოადგენს აპლიკანტის საბოლოო შეფასების 100%-ს; საიდანაც 40 % არის პროსპექტუსის წონა, ხოლო 60 % კი - კონკრეტულად გასაუბრების, საიდანაც ვლინდება თუ რა ცოდნისა და უნარების მატარებელია აპლიკანტი.
სწავლების ენა	ქართული
კვალიფიკაცია	სოციალური მუშაობის დოქტორი PhD in Social Work
სწავლების ხანგრძლივობა	6 სემესტრი
ECTS	30
სწავლების გადასახადი	1000
პროგრამის განხორციელების ადგილი	თსუ მეექვსე კორპუსი, ჭავჭავაძის 8
პროგრამის განმახორციელებელი ერთეული	
	სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტი
	სოციოლოგიისა და სოციალური მუშაობის მიმართულება
საკონტაქტო პირი	პროგრამის ხელმძღვანელი: თამარ მახარაძე, საჯარო პოლიტიკის დოქტორი, ასოცირებული პროფესორი მარკ დოელი, სოციალური მუშაობის დოქტორი, ემერიტუს-პროფესორი, შეფილდ ჰალამის უნივერსიტეტი
	პროგრამის კოორდინატორი: თამარ მახარაძე, საჯარო პოლიტიკის დოქტორი, ასოცირებული პროფესორი
	ტელ.: (+995) 599 71 43 05

	ელფოსტა: dphil@tsu.ge
პროგრამის სტრუქტურა	
კურსის სტატუსი	ECTS-მოცულობა
კვლევითი კომპონენტი	30 კრედიტი
სავალდებულო დარგობრივი	25 კრედიტი
არჩევითი დარგობრივი	5 კრედიტი
სულ	30 კრედიტი

პროგრამის მიზანი

დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამის მიზნებია:

- უზრუნველყოს ისეთი სპეციალისტების მომზადება, რომლებიც ფლობენ სოციალური მუშაობის დარგის უახლეს მიღწევებზე დამყარებულ სისტემურ ცოდნას სოციალურ პოლიტიკასა და პროგრამებზე, სოციალურ ფენომენებზე და სოციალურ პრობლემებზე;
- მოამზადოს მაღალკვალიფიციური სპეციალისტები სოციალური მუშაობის კვლევისა და სწავლების მიმართულებით (პედაგოგიური უნარ-ჩვევების მქონე მეცნიერები), რომლებიც შეძლებენ თანამედროვე კვლევის მეთოდების გამოყენებით სფეროში ახალი ცოდნის შექმნასა და კვლევის შედეგების პრაქტიკაში დანერგვის ადვოკატირებას, რათა ხელი შეუწყონ ქვეყანაში მტკიცებულებაზე დაფუძნებული სოციალური პოლიტიკის, მომსახურებებისა და პრაქტიკის განვითარებას;
- აღზარდოს ახალი თაობის სოციალური მუშაკები, რომლებიც როგორც ფუნდამენტური, ისე გამოყენებითი კვლევითი საქმიანობით ერთი მხრივ, ხელს შეუწყობენ დისციპლინის განვითარებასა და პოპულარიზაციას, როგორც ქვეყნის შიგნით, ისე საერთაშორისო მასშტაბით, ხოლო მეორე მხრივ, მოახდენენ საზოგადოების საჭიროებებზე რეაგირებას.

სწავლის მეთოდები

შედეგების მისაღწევად გამოყენებული იქნება სწავლებისა და სწავლის შემდეგი მეთოდები:

1. ვერბალური მეთოდი
2. წერითი მუშაობის მეთოდი, რომელიც გულისხმობს შემდეგი სახის აქტივობებს: ამონაწერებისა და ჩანაწერების გაკეთება, მასალის დაკონსპექტება, თეზისების შედგენა, რეფერატის, ან ესეს შესრულება, და ა.შ.
3. პრაქტიკული მეთოდები, რომლებიც სტუდენტს პრაქტიკულ უნარ-ჩვევებს ჩამოუყალიბებს: სასწავლო და პედაგოგიური პრაქტიკა, საველე მუშაობა და სხვ.

სწავლების პროცესში გამოყენებული იქნება, აგრეთვე, ისეთი მეთოდები, როგორიცაა:

1. დისკუსია, დებატები
2. ჯგუფური მუშაობა (cooperative/collaborative)
3. პრობლემაზე დაფუძნებული სწავლება (PBL)
4. შემთხვევის ანალიზი

5. გონებრივი იერიში (Brain storming)
6. ქმედებაზე ორიენტირებული სწავლება

შეფასების პროცედურები

დაუშვებელია სტუდენტის (დოქტორანტის) სემესტრული მიღწევის შეფასება მხოლოდ სემესტრის ბოლოს ჩატარებული გამოცდის მიხედვით.

სტუდენტის სემესტრის განმავლობაში გაწეული შრომის შეფასება ითვალისწინებს:

ა) მისი დამოუკიდებელი მუშაობის შეფასებას;
ბ) შუა სემესტრულ რეიტინგულ შეფასებას;
გ) სემესტრის დასკვნით შეფასებას.

შეფასებათა სისტემა უშვებს ხუთი სახის დადებით შეფასებას:

ა) **(A) ფრიადი** –შეფასების 91-100 ქულა;
ბ) **(B) ძალიან კარგი** – მაქსიმალური შეფასების 81-90 ქულა;
გ) **(C) კარგი** – მაქსიმალური შეფასების 71-80 ქულა;
დ) **(D) დამაკმაყოფილებელი** – მაქსიმალური შეფასების 61-70 ქულა;
ე) **(E) საკმარისი** – მაქსიმალური შეფასების 51-60 ქულა;

არსებობს ორი სახის უარყოფითი შეფასება:

ვ) **(FX) ვერ ჩააბარა** – მაქსიმალური შეფასების 41-50 ქულა, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტს ჩასაბარებლად მეტი მუშაობა სჭირდება და ეძლევა დამოუკიდებელი მუშაობით ხელახლა გამოცდაზე გასვლის უფლება;
ზ) **(F) ჩაიჭრა** – მაქსიმალური შეფასების 40 ქულა და ნაკლები, სტუდენტს მნიშვნელოვანი სამუშაო აქვს ჩასატარებელი, ანუ საგანი ახლიდან აქვს შესასწავლი.

დასკვნით და დამატებით გამოცდას შორის შუალედი უნდა იყოს არა ნაკლებ 5 (ხუთი) კალენდარული დღისა.

სადისერტაციო ნაშრომის დაცვის კომისიის წევრების მიერ დისერტაციის შეფასება ხდება კონფიდენციალურად, **100 ქულიანი** სისტემით.
დისერტაციის საბოლოო შეფასებისათვის სადისერტაციო ნაშრომის დაცვის კომისიას გამოყავს ქულათა საშუალო არითმეტიკული, რომელსაც შეუფარდებს შეფასებას შემდეგი სისტემის მიხედვით:

სადისერტაციო ნაშრომის შეფასება:

ა) "summa cum laude" - "ფრიადი" – შესანიშნავი ნაშრომი – შეფასების 91-100 ქულა;
ბ) "magna cum laude" - "ძალიან კარგი" – შედეგი, რომელიც წაყენებულ მოთხოვნებს ყოველმხრივ აღემატება, შეფასების 81– 90 ქულა;
გ) "cum laude - "კარგი" – შედეგი, რომელიც წაყენებულ მოთხოვნებს აღემატება, შეფასების 71– 80 ქულა;
დ) "bene" - "საშუალო" – საშუალო დონის ნაშრომი, რომელიც წაყენებულ ძირითად მოთხოვნებს აკმაყოფილებს, შეფასების 61–70 ქულა;
ე) "rite" - "დამაკმაყოფილებელი" – შედეგი, რომელიც, ხარვეზების მიუხედავად, წაყენებულ მოთხოვნებს მაინც აკმაყოფილებს, შეფასების 51– 60 ქულა;

ვ) "insufficienter"-"არადამაკმაყოფილებელი" – არადამაკმაყოფილებელი დონის ნაშრომი, რომელიც ვერ აკმაყოფილებს წაყენებულ მოთხოვნებს მასში არსებული მნიშვნელოვანი ხარვეზების გამო; შეფასების 41–50 ქულა;

ზ) "sub omni canone" - "სრულიად არადამაკმაყოფილებელი" – შედეგი, რომელიც წაყენებულ მოთხოვნებს სრულიად ვერ აკმაყოფილებს, შეფასების 40 ქულა და ნაკლები.

სწავლის შედეგები

ა) ცოდნა და გაცნობიერება; ბ) უნარი; გ) პასუხისმგებლობა და ავტონომიურობა

კურსდამთავრებული:

1. სიღრმისეულად და კრიტიკულად იაზრებს სოციალურ მუშაობისთვის მნიშვნელოვან ფსიქოლოგიურ, სოციოლოგიურ და სოციალურ თეორიებსა და თანამედროვე მიდგომებს;
2. ეფექტურად იყენებს სოციალური მუშაობის სფეროში დაგროვებულ თეორიულ ცოდნასა და უნარებს კვლევის დამოუკიდებლად დასაგეგმად და ჩასატარებლად;
3. კრიტიკულად, სისტემურ ჭრილში აანალიზებს სხვადასხვა ფაქტორის გავლენას ადამიანის სოციალურ ფუნქციონირებაზე: თუ რა გავლენა შეიძლება ჰქონდეს სქესს, ასაკს, კლასობრივ კუთვნილებას, სექსუალობას, შეზღუდულ შესაძლებლობებსა და სოციალურად სტრუქტურირებული განსხვავებების სხვა ფორმებს ადამიანის განვითარებასა და სოციალურ ფუნქციონირებაზე. აქტიურად იყენებს ამ ცოდნას როგორც კვლევის დაგეგმვისას, ისე პრაქტიკული საქმიანობისას;
4. მაღალი პროფესიონალიზმის დემონსტრირებით ეფექტურად გეგმავს, ატარებს კვლევას და კრიტიკულად აანალიზებს კვლევის შედეგებს, რომელიც მიმართულია სფეროს ახალი ცოდნითა და მიდგომებით გამდიდრებაზე; შესაბამისად, შეუძლია თანამედროვე ემპირიული კვლევის მეთოდების ადეკვატური გამოყენება სხვადსხვა სოციალური პრობლემის შესასწავლად, გამოყენებული ინტერვენციებისა და განხორციელებული პროგრამების შესაფასებლად, სხვადასხვა სოციალური ჯგუფის საჭიროებების დასადგენად და სხვ.;
5. პროფესიულ დონეზე მონაწილეობს სახელმწიფოს სოციალური პოლიტიკის განსაზღვრაში სოციალური პროგრამების ინიცირების და პროფესიული სტანდარტების შემუშავების მიმართულებით; ხელს უწყობს სოციალურ პოლიტიკაში მტკიცებულებაზე დაფუძნებული მიდგომის დანერგვას;
6. მოქმედებს პროფესიული ეთიკის, პროფესიული სტანდარტების შესაბამისად და ხელმძღვანელობს სოციალური მუშაობის ფუნდამენტური ღირებულებებით; აცნობიერებს დაკისრებულ პასუხისმგებლობას როგორც კლიენტების, ისე კოლეგების, დამქირავებელი ორგანიზაციისა, აკადემიური თემისა და ზოგადად, საზოგადოების წინაშე;
7. აცნობიერებს ქსენოფობიური და ეთნოცენტრისტული დამოკიდებულებების შეუსაბამობას სოციალურ მუშაობასთან და აღიარებს განსხვავებებისა და კულტურული მრავალფეროვნების მნიშვნელობას - ამ მიდგომას იყენებს პრაქტიკული, პედაგოგიური და კვლევითი საქმიანობისას, პატივს სცემს სოციალურ თანასწორობას და მოქმედებს შესაბამისად;
8. როგორც მკვლევარი, უარყოფს პლაგიატს და მოქმედებს კვლევის ეთიკური სტანდარტების სრული დაცვით.

დასაქმების სფეროები

სოციალური მუშაობის დოქტორანტურის კურსდამთავრებული, როგორც სოციალური მუშაობის დოქტორები, კონკურენტუნარიანი იქნება როგორც აკადემიურ/სამეცნიერო სფეროში საქმიანობის ისე პრაქტიკის კეთების თვალსაზრისით. სოციალური მუშაობის დოქტორს შეუძლია დაიკავოს ძირითადი მენეჯერული პოზიციები ყველა იმ სახელმწიფო თუ კერძო სააგენტოში, რომლებიც სოციალურ სერვისს ახორციელებს სხვადასხვა სფეროში (ბავშვთა კეთილდღეობა, პენიტენციალური სისტემა, უნარშეზღუდულთა რეაბილიტაცია, მოხუცებზე ზრუნვა, ნარკომანთა და აივ/შიდსით ინფიცირებულთა ადაპტაცია და სხვ.).

იმ პირობებში, როდესაც სოციალური სამუშაო ხდება რეგულირებადი პროფესია, ე.ი. ექცევა სახელმწიფოს პატრონაჟის ქვეშ, მოთხოვნა სოციალურ მუშაკებზე სულ უფრო გაიზრდება, რაც, ცხადია, დასაქმების გაცილებით უკეთეს გარემოს შექმნის.

დოქტორანტურის კურსდამთავრებული (დისერტაციის დაცვის შემთხვევაში) უფლებამოსილია მიღოს მონაწილეობა უმაღლესი საგანმანათლებლო სასწავლებლის მიერ გამოცხადებულ კონკურსში აკადემიური თანამდებობის დასაკავებლად.

პროგრამის სახელწოდება	სოციოლოგია Sociology
საფეხური	დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამა
პროგრამაზე დაშვების წინაპირობა	• მაგისტრის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხის ფლობა „სოციოლოგიაში“ ან სხვა სპეციალობაში; • უცხოური ენის ცოდნა მინიმუმ B2 დონეზე (დადასტურება გამოცდით ან შესაბამისი სერტიფიკატით); • სავარაუდო სამეცნიერო ხელმძღვანელისა და პროგრამის ხელმძღვანელის თანხმობა; • სადოქტორო - კვლევითი პროექტის გეგმის (პროსპექტუსის) წარმოდგენა; • გასაუბრება სპეციალობაში (მათ შორის სადოქტორო კვლევითი პროექტზე - პროსპექტუსზე).
სწავლების ენა	ქართული
კვალიფიკაცია	სოციოლოგიის დოქტორი PhD in Sociology
სწავლების ხანგრძლივობა	6 სემესტრი
ECTS	30
სწავლების გადასახადი	1000
პროგრამის განხორციელების ადგილი	თსუ მეექვსე კორპუსი, ჭავჭავაძის 8
პროგრამის განმახორციელებელი ერთეული	
	სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტი
	სოციოლოგიისა და სოციალური მუშაობის მიმართულება
საკონტაქტო პირი	პროგრამის ხელმძღვანელი: იაგო კაჭკაჭიშვილი, სოციოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი

	პროგრამის კოორდინატორი: იაგო კაჭკაჭიშვილი, სოციოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი
	ტელ.: +995 599 56 63 55
	ელფოსტა: dphil@tsu.ge

პროგრამის სტრუქტურა

კურსის სტატუსი	ECTS-მოცულობა
კვლევითი კომპონენტი	30 კრედიტი
სავალდებულო დარგობრივი	25 კრედიტი
არჩევითი დარგობრივი	5 კრედიტი
სულ	30 კრედიტი

პროგრამის მიზანი

სოციოლოგიის დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამის მიზანია:

- მოამზადოს სოციოლოგიაში დარგის უახლეს მიღწევებზე დამყარებული ცოდნისა და მაღალი დარგობრივი კომპეტენციის მქონე სრულფასოვანი მკვლევარი და/ან სპეციალისტი, რომელსაც შეუძლია ინოვაციური მიდგომების გამოყენებით როგორც თეორიული, ისე გამოყენებითი კვლევების (მათ შორის, ინტერდისციპლინური) ჩატარება სამეცნიერო, პროფესიული ეთიკის სტანდარტების გათვალისწინებით და კვლევის ობიექტის (ადამიანი, ჯგუფები) უფლებების დაცვით (კონფიდენციალურობა და ანონიმურობა);
- მოამზადოს კურსდამთავრებული აქტიური პედაგოგიური მოღვაწეობისათვის, რათა მან შეძლოს სწავლების დაბალ საფეხურზე მყოფი სტუდენტებისთვის (ბაკალავრიატი, მაგისტრატურა) ახალი, ინოვაციური დარგობრივი ცოდნის გადაცემა, შესბამისი კვლევითი უნარების განვითარება და კვლევის სიახლეების სასწავლო პროცესში ინტეგრირება;
- წვლილი შეიტანოს საზოგადოების წინაშე წამოჭრილი პრობლემატიკის გადაჭრის პროცესში და სოციოლოგიის, როგორც მეცნიერების დარგის განვითარებაში.

სწავლის მეთოდები

1. ვერბალური მეთოდი
2. წერითი მუშაობის მეთოდი, რომელიც გულისხმობს შემდეგი სახის აქტივობებს: ამონაწერებისა და ჩანაწერების გაკეთება, მასალის დაკონსპექტება, თეზისების შედგენა, რეფერატის ან ესსეს შესრულება, და ა.შ.
3. პრაქტიკული მეთოდები, რომლებიც სტუდენტს პრაქტიკულ უნარ-ჩვევებს ჩამოუყალიბებს: სასწავლო და პედაგოგიური პრაქტიკა, საველე მუშაობადა სხვ.

სწავლების პროცესში გამოყენებული იქნება, აგრეთვე, ისეთი მეთოდები, როგორიცაა:

1. დისკუსია, დებატები
2. ჯგუფური მუშაობა (cooperative/ collaborative)
3. პრობლემაზე დაფუძნებული სწავლება(PBL)

4. შემთხვევის ანალიზი
5. გონებრივი იერიში(Brain storming)
6. ქმედებაზე ორიენტირებული სწავლება
7. ელექტრონული სწავლების ((E-learning)
8. სილაბუსებით გათვალისწინებული სხვა მეთოდები

შეფასების პროცედურები

დაუშვებელია სტუდენტის (დოქტორანტის) სემესტრული მიღწევის შეფასება მხოლოდ სემესტრის ბოლოს ჩატარებული გამოცდის მიხედვით.

სტუდენტის სემესტრის განმავლობაში გაწეული შრომის შეფასება ითვალისწინებს:

ა) მისი დამოუკიდებელი მუშაობის შეფასებას;
ბ) შუა სემესტრულ რეიტინგულ შეფასებას;
გ) სემესტრის დასკვნით შეფასებას.

შეფასებათა სისტემა უშვებს ხუთი სახის დადებით შეფასებას:

ა) **(A) ფრიადი** –შეფასების 91-100 ქულა;
ბ) **(B) ძალიან კარგი** – მაქსიმალური შეფასების 81-90 ქულა;
გ) **(C) კარგი** – მაქსიმალური შეფასების 71-80 ქულა;
დ) **(D) დამაკმაყოფილებელი** – მაქსიმალური შეფასების 61-70 ქულა;
ე) **(E) საკმარისი** – მაქსიმალური შეფასების 51-60 ქულა;

არსებობს ორი სახის უარყოფითი შეფასება:

ვ) **(FX) ვერ ჩააბარა** – მაქსიმალური შეფასების 41-50 ქულა, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტს ჩასაბარებლად მეტი მუშაობა სჭირდება და ეძლევა დამოუკიდებელი მუშაობით ხელახლა გამოცდაზე გასვლის უფლება;
ზ) **(F) ჩაიჭრა** – მაქსიმალური შეფასების 40 ქულა და ნაკლები, სტუდენტს მნიშვნელოვანი სამუშაო აქვს ჩასატარებელი, ანუ საგანი ახლიდან აქვს შესასწავლი.

დასკვნით და დამატებით გამოცდას შორის შუალედი უნდა იყოს არა ნაკლებ 5 (ხუთი) კალენდარული დღისა.

სადისერტაციო ნაშრომის დაცვის კომისიის წევრების მიერ დისერტაციის შეფასება ხდება კონფიდენციალურად, ასქულიანი სისტემით.

დისერტაციის საბოლოო შეფასებისათვის სადისერტაციო ნაშრომის დაცვის კომისიას გამოყავს ქულათა საშუალო არითმეტიკული, რომელსაც შეუფარდებს შეფასებას შემდეგი სისტემის მიხედვით:

სადისერტაციო ნაშრომის შეფასება:

ა) "summa cum laude" - "ფრიადი" – შესანიშნავი ნაშრომი – შეფასების 91-100 ქულა;
ბ) "magna cum laude" - "ძალიან კარგი" – შედეგი, რომელიც წაყენებულ მოთხოვნებს ყოველმხრივ აღემატება, შეფასების 81– 90 ქულა;
გ) "cum laude - "კარგი" – შედეგი, რომელიც წაყენებულ მოთხოვნებს აღემატება, შეფასების 71– 80 ქულა;
დ) "bene" - "საშუალო" – საშუალო დონის ნაშრომი, რომელიც წაყენებულ ძირითად მოთხოვნებს აკმაყოფილებს, შეფასების 61–70 ქულა;
ე) "rite" - "დამაკმაყოფილებელი" – შედეგი, რომელიც, ხარვეზების მიუხედავად, წაყენებულ მოთხოვნებს მაინც აკმაყოფილებს, შეფასების 51–60 ქულა;
ვ) "insufficienter"-"არადამაკმაყოფილებელი" – არადამაკმაყოფილებელი დონის ნაშრომი, რომელიც ვერ აკმაყოფილებს წაყენებულ მოთხოვნებს მასში არსებული მნიშვნელოვანი ხარვეზების გამო; შეფასების 41–50 ქულა;
ზ) "sub omni canone" - "სრულიად არადამაკმაყოფილებელი" – შედეგი, რომელიც წაყენებულ მოთხოვნებს სრულიად ვერ აკმაყოფილებს, შეფასების 40 ქულა და ნაკლები.

სწავლის შედეგები

ა) ცოდნა და გაცნობიერება; ბ) უნარი; გ) პასუხისმგებლობა და ავტონომიურობა

დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამის დასრულების შემდეგ, კურსდამთავრებული:

1. იყენებს სოციოლოგიაში თანამედროვე სოციალურ-თეორიულ პარადიგმებს და სიღრმისეულად ინტერპრეტირებს მათ სისტემური და კრიტიკული გააზრების საფუძველზე;
2. საზოგადოებაში მიმდინარე სოციალური პროცესების კრიტიკული გააზრების საფუძველზე, ახალ, ინოვაციურ იდეებს გამოაპირობებს და უახლეს დარგობრივი კვლევის მეთოდების სიმბოზიური გამოყენებით არგუმენტირებულად აყალიბებს ახალ ორიგინალურ შეხედულებებს;
3. აახლებს საკვლევ სფეროში არსებულ ცოდნას და ახალ ცოდნას აგენერირებს სოციალურ მეცნიერებათა მიერ დაგროვილი ცოდნის კრიტიკული შეფასებისა და ინტერდისციპლინურ ჭრილში ანალიზის საფუძველზე;
4. დამოუკიდებლად, მეცნიერული და აკადემიური სტანდარტების დაცვით, გეგმავს კვლევის თითოეულ ეტაპს მაღალ პროფესიულ დონეზე შესაბამისი კვლევის მეთოდების შერჩევის, საკვლევი ინსტრუმენტების დიზაინის და კვლევის მეთოდების ინოვაციური გამოყენების საფუძველზე;
5. კრიტიკულად აანალიზებს კვლევის შედეგად მიღებულ მონაცემებს, ახდენს მიუკერძოებელ, სიღრმისეულ ინტერპრეტაციას და პრობლემის გადაჭრის ორიგინალური ხედვის შეთავაზებას;
6. განსაზღვრავს აქტუალური სოციალური პრობლემების არსს, მათი კრიტიკული ანალიზის საფუძველზე შეიმუშავებს რეკომენდაციებს სოციალური ცხოვრების სხვადასხვა სფეროში პოლიტიკის შესამუშავებლად;
7. მოიპოვებს ახალ ცოდნას და ახდენს მის დიაქრონული რეპრეზენტაციას; წარადგენს კვლევის შედეგებს სამეცნიერო პუბლიკაციების სახით საერთაშორისო რეფერირებადი სტანდარტების შესაბამისად;
8. ივითარებს სწავლების უნარებს სწავლებისთვის აუცილებელი სასწავლო-მეთოდური მასალების მომზადებითა და სტუდენტზე ორიენტირებული სასწავლო პროცესის მიდგომების გამოყენებით; იცავს პროფესიული ეთიკის პრინციპებს და კვლევის ობიექტის (ადამიანები, ჯგუფები) უფლებებს (პირველ რიგში, მათი კონფიდენციალურობა და ანონიმურობა);
9. აღიარებს და პატივს სცემს კულტურული მრავალფეროვნებასა და განსხვავებებს;

10. აკადმიური და სხვა პროფესიული საქმიანობის განხორციელებისას გადაწყვეტილების მიღების პროცესში ახდენს ავტონომიურობის დემონსტრირებას აკადემიური კეთილსინდისიერებისა და მიუკერძოებლობის საფუძველზე.

დასაქმების სფეროები

სოციოლოგიის დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამის კურსდამთავრებულის, როგორც სოციოლოგიის დოქტორის, დასაქმების სფერო ვრცელია:

- კურსდამთავრებულს, როგორც დარგის სპეციალიტს, სოციოლოგიური კვლევებით, შეუძლია მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანოს სახელმწიფო, არასამთავრობო ორგანიზაციების და კერძო სექტორის მუშაობასა და განვითარებაში. შესაბამისად, შეუძლია დასაქმდნეს ზემოხსენებულ ორგანიზაციებში.
- უფლებამოსილია დაიკავოს აკადემიური თანამდებობა უმაღლეს საგანმანათლებლო სასწავლებლებში;